ბ) სამხედრო ფორმის ტანსაცმლის ტარებისას ზუსტად იხელმძღვანელონ სამხედრო წესდებებითა და აღნიშნულ საკითხზე სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის 1968 წლის 25 ნოემბრის № 277 ბრძანებით;

გ) განემარტოთ სამხედრო ხელმძღვანელებს, რომ სამხედრო ფორმის ტანსაცმლის ტარებისას სამხედრო დისციპლინის ან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევაში, მათ მიმართ გამოყენებული იქნება სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების დისციპლინარული წესდების 66-ე და 68-ე მუხლებით გათვალისწინებული ზემოქმედების ზომები.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სამხედრო კომისრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების სამხედრო კომისრებმა:

ა) სამხედრო ვაჭრობის ორგანოებთან სასწრაფოდ მოაწესრიგონ სამხედრო ხელმძღვანელებისათვის სამხედრო ფორმის ტანსაცმლის შეძენის საკითხი;

ბ) სამხედრო ხელმძღვანელებს მისცენ ცნობა სამხედრო ფორმის ტანსაცმლის ტარებისა და სამხედრო ვაჭრობის წარმოებებში სამხედრო ფორმის ტანსაცმლის შეძენის უფლების შესახებ.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის სათანადო განყოფილებებმა (ამხ. ამხ. კინწურაშვილმა და ა. ორახელაშვილმა) სათანადო კონტროლი დააწესონ ამ ბრძანების შესრულებაზე.

| | |
|---|---|
| საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე | საქართველოს სსრ სამხედრო კომისარი გენერალ-მაიორი |
| **უშ. იზოლაძე** | **ვ. მურუსიძე** |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წ. 30 ივლისის ბრძანება № 417

### აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქსა, დუშეთისა და წალკის რაიონებში სასკოლო ინტერნატების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ შემოწმებულ ავტონომიურ რესპუბლიკებსა, ოლქსა და ზოგიერთი რაიონის სასკოლო ინტერნატების ერთ ნაწილში სერიოზული მუშაობა ტარდება. სათანადო ყურადღება ექცევა ინტერნატების მატერიალური ბაზის განმტკიცებას, ბავშვებისათვის სწავლისა და დასვენების ნორმალური პირობების შექმნას.

სოხუმის რაიონის პსხუს რვაწლიან სკოლასთან არსებულ ინტერნატს (დირექტორი ვ. კართსანიძე) აქვს კარგი მატერიალური ბაზა, უზრუნველყოფილია რბილი და მაგარი ინვენტარით, დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური პირობები და მოგვარებულია აღსაზრდელთა კვების საკითხი. აღმზრდელები პედაგოგებთან ერთად სერიოზულ მუშაობას ატარებენ მოსწავლეებთან, რის შედეგად უკვე მესამე წელია სკოლას არ ჰყავს არცერთი მეორეწლიანი მოსწავლე.

ბათუმის რაიონის ჩხუტუნეთის, აჭარისწყლისა და გონიოს სასკოლო ინტერნატებთან აგეს დამხმარე შენობები. ამჟამად ჩხუტუნეთის სასკოლო ინტერნატის შენობა კონტინგენტის გაზრდის შემთხვევაშიც დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ინტერნატები უზრუნველყოფილი არიან რბილი და მაგარი ინვენტარით.

ქობულეთის რაიონის ჭახათის კოლმეურნეობა სასკოლო ინტერნატებისათვის აგებს ახალ შენობას, რომელიც მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში შევა ექსპლოატაციაში.

ლენინგორის სკოლასთან არსებულ ინტერნატისათვის (დირექტორი ო. ჩიბირაშვილი) გასულ წელს სკოლას მიაშენეს ორსართულიანი შენობა რამდენიმე ოთახით. ინტერნატს აქვს საძინებელი და სამეცადინო ოთახები, სასადილო სამზარეულო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუშეთის რაიონის ფასანაურის საშუალო სკოლასთან არსებულ ინტერნატში მცხოვრებ ბავშვებს გაზაფხულის პერიოდში კვებავენ სასკოლო ნაკვეთიდან შემოსული სახსრებით.

მიუხედავად ამისა, შემოწმების შედეგად სასკოლო ინტერნატების მუშაობაში გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებები.

გულრიფშის რაიონის აჟარის საშუალო სკოლასთან არსებული ინტერნატი (დირექტორი ვ. კოძახია) მოთავსებულია ცუდ შენობაში, ინტერნატს არა აქვს სასადილო ოთახი და საკმაო რაოდენობით რბილი და მაგარი ინვენტარი.

სოხუმის რაიონის პავლოვის საშუალო სკოლის ინტერნატის (დირექტორი ვ. ჩალაძე). რბილი და მაგარი ინვენტარი მოითხოვს მთლიანად შეცვლას, ინტერნატს არა აქვს სასადილო, ხოლო სკოლას—ბუფეტი.

ოჩამჩირის რაიონის აგუბედიის სასკოლო ინტერნატი 1968—1969 სასწავლო წელს არ შედგომია მუშაობას სათანადო ბინის უქონლობის გამო.

ავარიულ მდგომარეობაშია ხულოს, დიოკნისისა და ხიხაძირის სასკოლო ინტერნატების შენობები. ხიხაძირის ინტერნატს არა აქვს სასადილო, ხოლო აგარის ინტერნატის სასადილო შეუფერებელ ოთახშია მოთავსებული.

ქობულეთის რაიონის ჭახათის სასკოლო ინტერნატის ბაზა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. მოსწავლეთა ერთი ნაწილი დაქირავებულ ბინებში ცხოვრობს. აღსანიშნავია ისიც, რომ ინტერნატში აღსაზრდელთა კვება არ არის მოგვარებული, სასწავლო წლის დასაწყისში ირიცხებოდა 25 ბავშვი, ამჟამად მხოლოდ 12 ცხოვრობს, ლენინგორის რაიონის დორეთკარის რვაწლიან სკოლასთან (დირექტორი ვ. გუჩმაზოვი) არსებულ ინტერნატში აღსაზრდელები ცხოვრობენ დაქირავებულ ბინებში და მათ არ აქვთ ცხოვრებისა და სწავლის ელემენტარული პირობები.

ანალოგიური მდგომარეობაა ამავე რაიონის ლარგვისის საშუალო სკოლასთან არსებულ ინტერნატშიც (დირექტორი ვ. დურგლიშვილი), სადაც აღსაზრდელთათვის, ერთმანეთთან დაცილებულ კერძო ბინებში, დაქირავებული აქვთ 18 ოთახი, რის გამოც ბავშვები მოკლებული არიან ყოველგვარ დახმარებასა და ზედამხედველობას.

ცხინვალის რაიონის ხეთაგუროვის სასკოლო ინტერნატს არ ჰყავს ღამის დარაჯი და ბავშვები უმეთვალყუროდ არიან დატოვებულნი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სასკოლო ინტერნატებში არსებული მდგომარეობისა და აღსაზრდელთა სუსტი მუშაობის შედეგია ის, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასკოლო ინტერნატების 234 აღსაზრდელიდან სასწავლო წლის ბოლოს ვერ ასწრებს 122 აღსაზრდელი.

სერიოზული ნაკლოვანებებია დუშეთის რაიონის სასკოლო ინტერნატების მუშაობაში. მატერიალური ბაზის მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა მაღაროსკარის საშუალო სკოლასთან არსებულ ინტერნატში. აქ აღსაზრდელთა უმრავლესობა დაქირავებულ ბინებში ცხოვრობს, ბინები ბნელი და ნესტიანია.

ანალოგიური მდგომარეობაა არანისის, ლაფანაანთკარის სასკოლო ინტერნატებში. რბილი და მაგარი ინვენტარი უკვე მოძველებულია და მოითხოვს შეცვლას.

წალკის რაიონის აშხალის სასკოლო ინტერნატის (დირექტორი ა. ერიციანი) აღსაზრდელებისათვის დაქირავებულია შეუფერებელი ბინები. ასეთივე სურათია თრიალეთის, ავრალოს, ღუშჩის, ხაჩკოვის, ნადევნისა და გუმბათის საშუალო სკოლებთან არსებულ ინტერნატებშიც. წალკის რაიონის სასკოლო ინტერნატების 213 აღსაზრდელიდან ვერ ასწრებს 24 მოსწავლე.

დუშეთის რაიონის მლეთის საშუალო სკოლასთან არსებულ ინტერნატში სერიოზული ნაკლოვანებებია; სანიტარულ-ჰიგიენური პირობები სავალალო მდგომარეობაშია, არა აქვთ პირსაბანები და პირადი ჰიგიენის ნივთები, სკოლის ეზოში შემოყვანილი წყლის მილი ხის საცობით არის დახშული, ამიტომ აღსაზრდელებს სკოლიდან მოშორებით უხდებათ წყლით სარგებლობა. მოწესრიგებული არ არის ინტერნატის საქმის წარმოება; აღსაზრდელთა გარიცხვა ყოველთვის არ წარმოებს სათანადო ბრძანებით, რის გამოც გაძნელდა ინტერნატში მცხოვრებ აღსაზრდელთა რაოდენობის დადგენა.

აღსაზრდელებს შორის სუსტადაა დაყენებული სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობა, 57 აღსაზრდელიდან ვერ ასწრებს 10.

შემოწმებულ სასკოლო ინტერნატების დიდ უმრავლესობაში აღსაზრდელთა კვების საქმე არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ კოლმეურნეობები, საშეფო ორგანიზაციები თითქმის არავითარ დახმარებას არ უწევენ სასკოლო ინტერნატებს აღსაზრდელთათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად.

სასკოლო ინტერნატები ცეკავშირის ხაზით სუსტად მარაგდებიან ნორმით გათვალისწინებული საკვები პროდუქტებით. ზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუშის რაიონის ხელვაჩაურის სასოფლო კოოპერატივი ინტერნატს არ ამარაგებს ახალი რძით, რძის ნაწარმით, ხორცითა და ბოსტნეულით, რის გამო ბავშვებს ერთფეროვანი კერძები ეძლევათ.

დუშეთის რაიონის მლეთის სასკოლო ინტერნატს თვეობით არ ეძლევა ხორცი, კვერცხი, რძე, რძის პროდუქტები და ბოსტნეული.

სასკოლო ინტერნატებში აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურება არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. სასკოლო ინტერნატების დიდ უმრავლესობაში არ არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები. ამ მხრივ ყველაზე ცუდი მდგომარეობაა წალკის რაიონში.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, დუშეთის და წალკის რაიონის განათლების განყოფილებები ჯერ კიდევ სათანადო ხელმძღვანელობასა და დახმარებას არ უწევენ სასკოლო ინტერნატებს მუშაობის ნორმალური პირობების შექმნისათვის.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, დუშეთისა და წალკის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი სასკოლო ინტერნატებისადმი, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებითა და ხელმძღვანელობით მიაღწიონ იმას, რომ სასკოლო ინტერნატებში აღსაზრდელებს შეუქმნან ცხოვრებისა და სწავლის ნორმალური პირობები;

ბ) გადაჭრით გააუმჯობესონ სასკოლო ინტერნატებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. აღმზრდელებად შეარჩიონ სათანადო განათლებისა და გამოცდილების მქონე პირები და დახმარება გაუწიონ მათ აღსაზრდელთა შორის მუშაობის მაღალ დონეზე წარმართვისათვის;

გ) მიაღწიონ იმას, რათა სკოლების ხელმძღვანელებმა სასკოლო ინტერნატებში აღსაზრდელთა ჩარიცხვა აწარმოონ დებულების შესაბამისად და სრულ წესრიგში იქონიონ საქმის წარმოება;

დ) გაატარონ სათანადო ღონისძიებები სასკოლო ინტერნატების მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის და ამ საქმეში აქტიურად ჩააბან საშეფო ორგანიზაციები და კოლმეურნეობები,

საბჭოთა მეურნეობები; შეუფერებელი ბინების (ბნელი, ნესტიანი) ნაცვლად დაიქირაონ უფრო კეთილმოწყობილი ბინები;

ე) განსაკუთრებით გააძლიერონ ზედამხედველობა და დახმარება იმ სასკოლო ინტერნატების აღსაზრდელებისადმი, რომლებიც დაქირავებულ და ერთმანეთისაგან დაცილებულ ოთახებში ცხოვრობენ;

ვ) განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ აღსაზრდელთა საცხოვრებელი ოთახების კეთილმოწყობასა და სიფაქიზეს, შეუქმნან ბავშვებს მყუდრო ოჯახური გარემო;

ზ) შეცვალონ ხმარებიდან გამოსული რბილი და მაგარი ინვენტარი და მტკიცე კონტროლი დააწესონ მის მოვლა-პატრონობაზე;

თ) გააუმჯობესონ სასკოლო ინტერნატების აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურება და ამ საქმეში აქტიურად ჩააბან ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანოები.

ი) მკვეთრად გააუმჯობესონ სასკოლო ინტერნატებში სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, უზრუნველყონ ისინი პირველი დახმარების მედიკამენტებით, ხოლო თითოეული აღსაზრდელი პირადი ჰიგიენის ნივთებით;

კ) დააყენონ საკითხი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე, რომ სასკოლო ინტერნატები სავაჭრო ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობების მიერ შეუფერხებლად მარაგდებოდნენ ნორმით გათვალისწინებული საკვები პროდუქტებით. სასკოლო ინტერნატების აღსაზრდელთა კვების გაუმჯობესებისათვის ფართოდ გამოიყენონ აგრეთვე სკოლების სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთებზე მიღებული პროდუქტები;

ლ) სისტემატურად შეამოწმონ და განათლების სამინისტროების კოლეგიების, ოლქისა და რაიონის განათლების განყოფილებათა საბჭოების მსჯელობის საგნად აქციონ სასკოლო ინტერნატების მუშაობის საკითხი.

2. სკოლების დირექტორებმა მუდმივი ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი გაუწიონ სასკოლო ინტერნატებს და მიაღწიონ იმას, რომ აღსაზრდელები იმყოფებოდნენ მშობლიური მზრუნველობის ქვეშ.

3. განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) სათანადო ცვლილებების შეტანის მიზნით

გადაამუშაოს სასკოლო ინტერნატების ტიპიური შტატები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარსადგენად.

4. სასკოლო ინტერნატების რბილი და მაგარი ინვენტარით უზრუნველყოფის მიზნით ნება დაერთოთ სკოლა-ინტერნატების დირექტორებს სასკოლო ინტერნატებს უსასყიდლოდ გადასცენ მათთვის ზედმეტი რბილი და მაგარი ინვენტარი განათლების სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს განაწილების მიხედვით.

5. განათლების სამინისტროს მომარაგების და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) გადაჭრით გააუმჯობესოს სასკოლო-ინტერნატების რბილი და მაგარი ინვენტარით მომარაგების საქმე.

6. აღნიშნული ბრძანება განიხილონ და სათანადო ღონისძიებანი დასახონ იმ სკოლების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე, რომლებთანაც არსებობს სასკოლო ინტერნატები.

7. ცნობად იქნეს მიღებული დუშეთის განათლების განყოფილების გამგის ამხ. ა. ბალხამიშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ მლეთის სასკოლო ინტერნატის გამგე ს. ბურდული განთავისუფლებულია სამუშაოდან.

8. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. ა. ჩხიკვაძე) მტკიცე კონტროლი გაუწიოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობას და საჭიროების შემთხვევაში შედეგები მოახსენოს კოლეგიას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1969 წლის 27 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი ო. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ
განათლების სამინისტრო
4 აგვისტო, 1969 წ.
№ 9/458

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ
განათლების მინისტრებს, სამხრეთ
ოსეთის ავტონომიური ოლქის,
რაიონების (ქალაქების)
განათლების განყოფილებათა
გამგეებს

ამასთან ერთად გეგზავნებათ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1969 წლის 8 აგვისტოს სხდომაზე განხილული და განათლების მინისტრის ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილის მიერ დამტკიცებული „მითითებანი სალამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ".

აღნიშნულ მითითებათა თანახმად, ერთი სკოლის დამამთავრებელი კლასიდან, გამონაკლისის წესით, მეორე სკოლაში მოსწავლის გადაყვანის საკითხი ამიერიდან თქვენ უნდა გადაწყვიტოთ.

გთხოვთ იხელმძღვანელოთ ამ განმარტებით.

დ ა ნ ა რ თ ი — აღნიშნული მითითებანი.

სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების
სამმართველოს უფროსი გ. ჩინჩალაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი
1969 წლის 4 აგვისტო

# მ ი თ ი თ ე ბ ა ნ ი

## საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ნოსწავლეთა მიღების შესახებ

საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა მიღების ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო წინადადებას იძლევა ამ ტიპის სკოლებმა იხელმძღვანელონ შემდეგით:

1. საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მიიღებიან ორივე სქესის 16 წლისა და მეტი ასაკის მოქალაქენი, რომლებიც მუშაობენ წარმოებებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე ომისა და შრომის ინვალიდები.

შენიშვნა:

1. საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში მოსწავლეთა მიღებისას მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს III—VIII კლასებში იმ ახალგაზრდების ჩარიცხვას, რომლებიც დასაქმებული არიან სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგში;

ბ) გამონაკლისის წესით, საღამოს სკოლებში შეიძლება მიღებულ იქნენ ახალგაზრდები, რომლებიც არ მუშაობენ; სკოლებმა ადგილობრივ ორგანოებთან ერთად უნდა იზრუნონ ამ ახალგაზრდების სამუშაოზე მოსაწყობად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) პროფტექნიკური განათლების სისტემის მოსწავლეები საღამოს სკოლებში მიიღებიან შესაბამისი სასწავლებლის დირექტორის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

2. აკრძალულია 16 წლის ასაკამდე მოსწავლეთა გადაყვანა საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ სკოლებში. რვაკლასდაუმთავრებელი არასრულწლოვანი მოსწავლის მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში გადაყვანა შეიძლება მხოლოდ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის არასრულწლოვანთა საქმეების კომისიასთან შეთანხმებით, რომელიც ზრუნავს მათ სამუშაოზე მოსაწყობად. აკრძალულია ასეთი მოსწავლის საღამოს სკოლიდან გარიცხვა ზემოთ ხსენებულ კომისიასთან შეთანხმების გარეშე.

3. კატეგორიულად აკრძალულია ყველა ტიპის სკოლის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეთა ერთი სკოლიდან მეორეში გადასვლა; გამონაკლისის წესით, ჯანმრთელობის ან ოჯახური პირობების გამო, დღის სკოლის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეთა საღამოს სკოლაში გადასვლა ხდება აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. თბილისისა და რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებათა გამგეების ნებართვით.

**შენიშვნა:** ერთი სკოლიდან მეორე სკოლის X ან XI კლასში თუნდაც გამონაკლისის წესით გადაყვანილი წარჩინებული მოსწავლე კარგავს მედლის მიღების უფლებას.

4. საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების XI კლასში იმ ერთეული ახალგაზრდების (17 წლის ასაკის ზევით) მისაღებ გამოცდებზე დაშვების საკითხს, რომელთაც სწავლაში ხანგრძლივი წყვეტის (სამი და მეტი წელი) გამო არა აქვთ საბუთი განათლების შესახებ, წყვეტს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

5. წარმოებაში დასაქმებული და საბჭოთა არმიიდან დემობილიზებული სათანადო საბუთების მქონე ახალგაზრდების საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების XI კლასებში ჩარიცხვას აწარმოებს შესაბამისი ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილების გამგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. სახალხო მეურნეობის რომელიმე დარგში მომუშავე რვა-წლიანი ან ათწლიანი სკოლის რვაკლასდამთავრებული პირები ჩაირიცხებიან საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების IX კლასში და საშუალო განათლების მისაღებად ისწავლიან კანონით განსაზღვრულ სამ წელს (IX, X, XI კლასები).

7. ის პირები, რომლებიც დარჩნენ ათწლიანი სკოლის მეცხრე კლასში, მუშაობის დაწყების შემდეგ ჩაირიცხებიან საღამოს სკოლის მეათე კლასში.

8. ის პირები, რომელთაც დაამთავრეს ათწლიანი სკოლის მეცხრე კლასი ან თერთმეტწლიანი საშუალო სკოლის მეათე კლასი და მუშაობენ სახალხო მეურნეობის ერთ რომელიმე დარგში, ჩაირიცხებიან საღამოს სკოლის მეთერთმეტე კლასში.

9. საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების V—XI კლასებში მოსწავლეთა მიერ უცხო ენების შესწავლა სავალდებულოა. სკოლის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით, დასაშვებია საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების 30 წლისა და მეტი ასაკის მოსწავლეთა უცხო ენის შესწავლისაგან განთავისუფლება ამ კატეგორიის მოსწავლეთა საბუთში ან ატესტატში „უცხო ენის" გრაფაში ხაზი გაისმება.

10. საღამოსა და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების როგორც დაკომპლექტებულ, ისე ახლადგახსნილ კლასებში მოსწავლეთა მიღება წარმოებს ყოველწლიურად, თითოეული სკოლისათვის სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული კონტინგენტის ფარგლებში.

11. სკოლებისა და კლასების დაკომპლექტებისას პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს საღამოს სკოლების V—VIII კლასების ქსელის გაშლას.

12. სასწავლო წლის დასასრულს სკოლის დირექტორი, მოსწავლეთა რაოდენობისა და შემდეგი სასწავლო წლის კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმის საფუძველზე, განსაზღვრავს, რომელ კლასში მოსწავლეთა რა რაოდენობა უნდა იქნეს მიღებული და ამის შესაბამისად აცხადებს სკოლაში მიღებას.

13. სკოლებში ახალი ნაკადის მიღება ცხადდება 25 მაისიდან 31 აგვისტომდე. სწავლებაში ახალგაზრდების ჩასაბმელად სკოლის დირექტორი, წარმოება-დაწესებულებების ადმინისტრაციასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, ატარებს ახსნა-განმარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტებით მუშაობას, აქვეყნებს განცხადებებს, სარგებლობს ახალგაზრდობის კრებებით, ადგილობრივი გაზეთითა და რადიოს ტრანსლიაციო ქსელით.

**შენიშვნა:** გამონაკლისის წესით სკოლებს უფლება ეძლევათ მოსწავლეთა ჩარიცხვა აწარმოონ სასწავლო წლის პირველ მეოთხედში.

14. საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შემსვლელი პირი განცხადებასთან ერთად წარადგენს შემდეგ საბუთებს:

ა) სკოლის დირექტორის (გამგის) მიერ ხელმოწერილ და ბეჭედდასმულ მოწმობას ან ცნობას განათლების შესახებ;

ბ) ცნობას სამუშაო ადგილიდან;

გ) ცნობას საცხოვრებელი ადგილიდან;

დ) დაბადების მოწმობას;

ე) ცნობას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

15. სკოლაში შემსვლელის განცხადებას და დოკუმენტებს ღებულობს სკოლის დირექტორი ან დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში.

**შენიშვნა:** იქ, სადაც არის დაუსწრებელი საშუალო სკოლის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი, მოსწავლეთა მიღებას აწარმოებს პუნქტის გამგე, დაუსწრებელი საშუალო სკოლა ვალდებულია დაამყაროს კონტროლი საკონსულტაციო პუნქტების მიერ მოსწავლეთა ჩარიცხვის საქმეზე. მიღების დამთავრების შემდეგ, პუნქტის გამგე 1-ლი სექტემბრისათვის სკოლას უგზავნის სასწავლებელში ახლად ჩაბმულთა დოკუმენტებს და ჩატარებული გამოცდების მასალებს.

16. ის პირები, რომელთაც სწავლაში სამ, ან სამ წელზე მეტი წყვეტა აქვთ და სკოლაში შესვლისას განცხადებასთან ერთად ვერ წარადგენენ დოკუმენტს განათლების შესახებ, აბარებენ შესასვლელ გამოცდებს (V—X კლასებში დირექტორის, ხოლო XI კლასში მხოლოდ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნებართვით) წინა კლასის პროგრამით შემდეგ საგნებში:

V—VI კლასებში—მშობლიურ ენაში (წერითი), არითმეტიკაში (ზეპირი);

VII კლასში—მშობლიურ ენაში (წერითი), ალგებრაში (წერითი);

ეროვნული ბიბლიოთეკა

VIII კლასში—მშობლიურ ენაში (წერითი), ალგებრა-არითმეტიკაში (წერითი), გეომეტრიაში (ზეპირი);

IX—X კლასებში—მშობლიურ ენაში (წერითი), ალგებრაში (წერითი), გეომეტრიაში (ზეპირი);

XI კლასში—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნებართვით—მშობლიურ ენაში (წერითი), ალგებრაში (წერითი), გეომეტრიაში (ზეპირი).

შენიშვნა: სკოლებში ამ წესით მიღებული მოსწავლეები ვალდებულნი არიან გამოსაშვები (VIII და XI) კლასის დამთავრებამდე ჩააბარონ გამოცდები ყველა იმ საგანში, რომლებიც შეიტანება რვაწლიანი განათლების მოწმობასა და საშუალო განათლების ატესტატში.

17. გამოცდების დროს წერითი სამუშაოს სახეები უნდა შედგებოდეს: მშობლიურ ენაში—წერითი ნამუშევრებისაგან სათანადო კლასისათვის განკუთვნილი წერითი მუშაობის თემატიკის მიხედვით, მატემატიკაში—VII—VIII—IX—X—XI კლასებში ერთი ამოცანისა და ორი მაგალითისაგან.

18. ზეპირი გამოცდები ტარდება ინდივიდუალური გამოკითხვის წესით.

19. გამოცდების ჩასატარებლად წერითი სამუშაოს ტექსტს, კითხვებს, ამოცანებსა და მაგალითებს ამზადებს შესაბამისი საგნის მასწავლებელი და ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

20. გამოცდები ტარდება სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ცხრილით, ამასთან ჯგუფში ერთ დღეს შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთი გამოცდა.

21. საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში შემსვლელს თვითეულ საგანში ცდიან სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სათანადო საგნის მასწავლებელი და ასისტენტი.

22. გამოცდების შედეგებს იხილავს სკოლის პედაგოგიური საბჭო. შესაბამის კლასებში მოსწავლეთა ჩარიცხვა წარმოებს პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით და ფორმდება სკოლის დირექტორის ბრძანებით. სკოლაში ახალმიღებულ თითოეულ მოსწავლეზე უნდა შედგეს პირადი საქმე.

23. ტექნიკუმებისა და სხვა სპეციალური საშუალო სასწავლებლების მოსწავლეები, აგრეთვე ამ ტიპისა და ზოგადსაგანმა-

ნათლებლო სკოლის კურსდამთავრებული პირები საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არ მიიღებიან.

24. დღის სკოლებიდან გარიცხული მოსწავლეები საღამოს სკოლაში მიიღებიან გარიცხვის ვადის გასვლის შემდეგ იმ პირობით, თუ ისინი მუშაობენ.

25. ამ მითითებათა გამოცემასთან დაკავშირებით უქმდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის 10 თებერვალს დამტკიცებული მითითებანი საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1969 წლის 8 აგვისტოს დადგენილება.

საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების
სამმართველოს უფროსი ვ. ჩინჩალაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წ. 14 აგვისტოს ბრძანება № 448

### მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ზომების თაობაზე ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესრულების შემოწმების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ ჩატარებული შემოწმებით დადასტურდა, რომ ამ უკანასკნელ ხანს სახალხო განათლების ორგანოებმა გააუმჯობესეს საღამოს (ცვლის) სკოლების მუშაობისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი. ამაღლდა პედაგოგიური კოლექტივების პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, გაფართოვდა სკოლების ურთიერთობა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოებთან, განმტკიცდა სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა, ამაღლდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხი სკოლებში.

მიუხედავად აღნიშნულისა, მთელი რიგი საღამოს სკოლების მუშაობაში შეინიშნება სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებები; ასე მაგალითად, 1968—69 სასწავლო წელს მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო-სამეურნეო გეგმა ვერ შეასრულეს აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებმა, ქ. რუსთავმა, ფოთმა, გორმა, ტყიბულმა, აგრეთვე რესპუბლიკის 26-მა რაიონმა.

1968—1969 სასწავლო წელს რესპუბლიკის საღამოს სკოლებში ნაცვლად სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული 54.800 მოსწავლისა, სწავლობდა 50.900 მოსწავლე.

ახალციხის რაიონის სკოლებში (გამგე ამხ. ბ. ახვლედიანი) გეგმით გათვალისწინებული 847 კაცის ნაცვლად, სწავლობდა მხოლოდ 430 მოსწავლე. ზუგდიდის რაიონის სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში (განათლების განყოფილების გამგე ამხ. მ. ნარმანია) გეგმით გათვალისწინებული 406 მოსწავლის ნაცვლად სწავლობდა 257 კაცი, ე. ი. გეგმის 63%.

სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები, აგრეთვე საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები არ ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს, რომ 16—35 წლის ასაკის თითოეული მუშა და კოლმეურნე, რომელსაც არა აქვს რვაწლიანი ან საშუალო განათლება, სწავლობდეს საღამოს სკოლაში. მარტო ახალციხეში ცხოვრობს და მუშაობს 16—35 წლის 500-ზე მეტი მშრომელი, რომელთაც არა აქვთ რვაწლიანი ან საშუალო განათლება. ქ. ზუგდიდის მუშა ახალგაზრდობის სკოლებში რვაწლიანი და საშუალო განათლების არმქონე ახალგაზრდა მუშების მხოლოდ 50% სწავლობს. ასეთივე მდგომარეობაა ასპინძის რაიონში.

ხშირია საღამოს სკოლებიდან არასაპატიო მიზეზით მოსწავლეთა გასვლის შემთხვევები. თბილისის 26 კომისრის სახ. რაიონის მუშა ახალგაზრდობის სკოლებიდან მიმდინარე სასწავლო წელს გავიდა 862 მოსწავლე, აქედან ნახევარზე მეტი არასაპატიო მიზეზით. ქ. რუსთავის საღამოს სკოლებიდან ერთ წელიწადში გავიდა 413 მოსწავლე. აქედან 177 არასაპატიო მიზეზით, ქ. ზუგდიდის სკოლების 200 მოსწავლიდან კი—82.

ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელი ზედმეტი კლასების გახსნის მიზნით ხელოვნურად ადიდებს მოსწავლეთა კონტინგენტს.

ასპინძის მუშა ახალგაზრდობის სკოლაში (განათლების განყოფილების გამგე ამხ. ვ. თამაზაშვილი) 1968—1969 სასწავლო წლის დაწყებისას მე-8 კლასში ფაქტიურად ირიცხებოდა 7 მოსწავლე, განათლების განყოფილების ანგარიშში კი აღნიშნული იყო 14 მოსწავლე. ამავე რაიონის დამალის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში 19 მოსწავლეზე გაიხსნა სამი ფინანსიური კლასი, ფაქტიურად სასწავლო წლის ბოლოს სწავლობდა მხოლოდ 3 მოსწავლე.

ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის № 12 მუშა ახალგაზრდობის სკოლაში (დირექტორი ა. ხაზეიშვილი) მოსწავლეთა რაოდენობის ხელოვნურად გაზრდის გზით გახსნა 3 ზედმეტი პარალელური კლასი.

სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს ჯერაც არ განუხორციელებიათ საჭირო ღონისძიებანი მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობის ძირეული გაუმჯობესებისათვის, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლების, ორწლიანობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და ამ სკოლე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბის პედაგოგთა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის.

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში ჯერ კიდევ ჯეროვნად არ იბრძვიან მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენის წინააღმდეგ.

ქ. თბილისის 26 კომისრის სახ. რაიონის მუშა ახალგაზრდობის № 12 სკოლაში შემოწმების დღეს 169 მოსწავლიდან მეცადინეობაზე გამოცხადდა მხოლოდ 90. სასწავლო წლის დაწყებიდან ამ სკოლის მოსწავლეების მიერ 18.000 გაკვეთილია გაცდენილი. ზოგიერთი მოსწავლე მთელი მეოთხედის განმავლობაში 3—4 დღეს არ დასწრებია გაკვეთილებს. ანალოგიური მდგომარეობაა ამ რაიონის სხვა სკოლებშიც, რის შედეგადაც საღამოს სკოლების 1.842 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 447, აქედან მეორე წელს დარჩა იმავე კლასში 197.

ახალქალაქის რაიონის ტურცხის საღამოს სკოლაში შემოწმების დღეს არც ერთი მოსწავლე არ გამოცხადდა და გაკვეთილები არ ჩატარებულა. მასწავლებლებმა კი საკლასო ჟურნალში შეიტანეს თითქოს დამუშავებული მასალები.

რესპუბლიკის ზოგიერთ სკოლაში ჯერ კიდევ დაბალია ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლება. არადამაკმაყოფილებლად დგას ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება ბათუმის რაიონის ჩაისუბნის, ხელვაჩაურის, ურეხის, ახალშენის, ქობულეთის რაიონის ოჩხამურის (მასწავლებლები: ჯ. ბოლქვაძე, გ. დავითაძე, დ. ბოლქვაძე, ს. სურმანიძე, ვ. დუმბაძე, მ. მამფორია); გორის რაიონის კარალეთისა და მეჯვრისხევის (მასწ. ჩ. ჩალაური და ნ. გინტური) საღამოს სკოლებში.

მოუმზადებელი ცხადდება გაკვეთილზე ქობულეთის მუშა ახალგაზრდობის სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ც. მოსეშვილი. შემოწმების დღეს მას არ აღმოაჩნდა გაკვეთილის გეგმა. უხერხულობის თავიდან ასაცილებლად მან მე-9 კლასში განრიგის გარეშე ჩაატარა საკონტროლო წერა კარნახით. მომზადების დაბალი დონე გამოავლინეს ამ სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებმა, მათ არ შესწევთ უნარი დამოუკიდებლად მსჯელობისა. ასევე დაბალ დონეზე დგას ამ საგნის სწავლება საჩხერის რაიონის სარეკის, გორის რაიონის კარალეთის საღამოს სკოლებში.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება მათემატიკის სწავლება ბათუმის რაიონის ახალშენის საღამოს სკოლის მე-11 კლასში

(მასწ. ნ. თავდგირიძე) იგი ვერ ფლობს საგანს და მისი სწავლების მეთოდებს, ამიტომ მოსწავლეები პროგრამული მასალის აბსოლუტურ უცოდინარობას ამჟღავნებენ.

ბათუმის რუსული დაუსწრებელი სკოლის მათემატიკის მასწავლებელი გ. ხალოიანი გულგრილად ეკიდება თავის საქმეს. ის ხშირად შედის გაკვეთილზე მოუმზადებელი, ასევე დაბალ დონეზეა მათემატიკის სწავლება გორის რაიონის კარალეთისა და საჩხერის რაიონის სარეკის და ჯალაურთის სკოლებში.

საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში მომუშავე მასწავლებელთა შემადგენლობის ნახევარზე მეტი შეთავსებით მუშაობს ამ ტიპის სკოლებში, რაც უარყოფითად მოქმედებს მათი მუშაობის გაუმჯობესებისა და სწავლების ხარისხის ამაღლებაზე.

ჯერ კიდევ არასაკმაო მუშაობა ტარდება საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა-განზოგადებისა და მასწავლებელთა პედაგოგიურ-მეთოდური კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობის მდგომარეობისა და შემდგომი გაუმჯობესების ზომების თაობაზე ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შემოწმების შედეგების შესახებ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის 1969 წლის 11 ივლისის დადგენილების შესასრულებლად.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა:

ა) 1969 წლის 1-ელ ოქტომბრამდე დააზუსტონ სახალხო მეურნეობაში დასაქმებული რვაწლიანი და საშუალო განათლების არმქონე 16—35 წლის მოქალაქეთა რაოდენობა, უზრუნველყონ მათი სწავლებაში ჩაბმა; არ დაუშვან მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმის შეუსრულებლობა და ჩატარებული აღრიცხვის შედეგები მიმდინარე წლის 15 ოქტომბრამდე წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს;

ბ) იზრუნონ საღამოს სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი ამაღლებისათვის, შეისწავლონ ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების მდგომარეობა და შედეგები განიხილონ სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) განსაკუთრებული ხელმძღვანელობა და კონტროლი დააწესონ საღამოს სკოლების მასწავლებლების მუშაობაზე, გაუწიონ მათ საჭირო დახმარება პედაგოგიურ-მეთოდური და მეცნიერული დონის ამაღლებისათვის;

დ) იზრუნონ სკოლების ნივთიერი ბაზის განმტკიცებისათვის, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების, ხელმძღვანელი სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების დახმარებით მიაღწიონ საღამოს სკოლებისათვის საკუთარი შენობების გამოყოფას;

ე) ადგილობრივ პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად მიიღონ ზომები საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების იმ მოსწავლეთა სამუშაოზე მოსაწყობად, რომლებიც არ არიან დასაქმებული წარმოებაში;

ვ) მკაცრი კონტროლი დააწესონ მოსწავლეთა აღრიცხვაზე, არ დაუშვან კლასების გახსნის მიზნით მოსწავლეთა კონტინგენტის ხელოვნურად გადიდების ფაქტები, სასტიკად დასაჯონ ის დირექტორები, რომლებიც შენიშნული იქნებიან მსგავსი ფაქტების ჩადენაში.

2. საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ (ამხ. ვ. ჩინჩალაძე):

ა) კონტროლი დააწესოს აღნიშნულ ბრძანებაში დასახულ ღონისძიებათა შესრულებაზე;

ბ) გააძლიეროს კონტროლი, ხელმძღვანელობა და დახმარება საღამოსა და დაუსწრებელი სკოლებისადმი;

გ) 1969—70 სასწავლო წლის მეორე ნახევარში შეისწავლოს ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის, ზუგდიდის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის რაიონებისა და ქ. ზუგდიდის საღამოს სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და შემოწმების შედეგები მოახსენოს კოლეგიას;

დ) მიმდინარე წლის 15 დეკემბრამდე მოამზადოს საკითხი ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტისათვის მოსახსენებლად.

3. ასპინძისა და ახალქალაქის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ამხ. ამხ. ვ. თამაზაშვილი და კ. კარახანიანი) მიმდინარე წლის ოქტომბერში შეისწავლონ ასპინძის რაიონის დამალისა და ახალქალაქის რაიონის ტურცხის სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობა. შემოწმების შედეგები საჭირო ღონისძიებათა გასატარებლად წარუდგინონ ადგილობრივ ხელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძღვანელ ორგანოებს და მათ მიერ მიღებული ზომების შესახებ მოახსენონ განათლების სამინისტროს ა/წლის 15 ნოემბრამდე.

4. მიღებული იქნეს ცნობად, რომ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა ქ. თბილისის მუშა ახალგაზრდობის № 12 სკოლის დირექტორის ა. ხაბეიშვილის საკითხი, რომელმაც მოსწავლეთა კონტინგენტის ხელოვნური გაზრდით მიაღწია ზედმეტი ფინანსიური კლასების გახსნას, სათანადო ზომების მისაღებად გადასცა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიკომს.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1969 წლის 8 აგვისტოს დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წ. 14 აგვისტოს ბრძანება № 447

### მომუშავე ახალგაზრდობის საღამოსა და დაუსწრებელი ზოგადი განათლების გაუმჯობესების ზომების შესახებ

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ა/წლის 11 აპრილის № 10 დადგენილების —მომუშავე ახალგაზრდობის საღამოსა და დაუსწრებელი ზოგადი განათლების გაუმჯობესების ზომების შესახებ —შესასრულებლად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ (ამხ. ვ. ჩინჩალაძემ):

ა) 1970 წლის 1-ლ იანვრამდე წარმოადგინოს დასამტკიცებლად საღამოს (ცვლის) სკოლების ტიპიური სასწავლო გეგმები;

ბ) განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების სექტორთან ერთად თარგმნოს და დაამუშაოს ამ სკოლების ყველა ძირითადი საგნის პროგრამა 1970 წლის 1-ელ თებერვლამდე;

გ) მიმდინარე წლის ბოლომდე წარმოადგინოს დებულება საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შესახებ;

დ) განსაზღვროს საღამოს (ცვლის) სკოლებისათვის 1970—1972 წლებში გამოსაცემი სახელმძღვანელოების სია;

ე) დაამუშაოს ტიპობრივი გრაფიკი ახალ სასწავლო პროგრამებზე საღამოს (ცვლის) სკოლების გადასვლის შესახებ.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა (ამხ. გრ. ფოფხაძემ) გაატაროს ქმედითი ღონისძიებანი საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მუშაობის მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლისა და განზოგადებისათვის.

3. განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილმა) 1969 წლის 1 სექტემბრიდან გამოყოს ერთი საშტატო ერთეული არსებული შტატების ფარგლებში საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების კაბინეტის შესაქმნელად.

4. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძემ) საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოსთან ერთად წარმოადგინოს წინადადებანი საღამოს (ცვლის) სკოლების ქსელის სრულყოფის პრინციპებისა, სკოლის შესახებ ტიპიური დებულების მიხედვით.

5. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ მიიღოს აუცილებელი ზომები საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტის დაგეგმვის საქმეში წესრიგის დასამყარებლად.

6. გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ (ამხ. ნ. შველიძემ) და ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ“ (ამხ. გრ. საჯაიამ) მეტი ადგილი დაუთმონ თავიანთ ფურცლებზე საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის საკითხების ასახვას.

7. საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ (ამხ. ვ. ჩინჩალაძემ) დააწესოს კონტროლი ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1969 წლის 8 აგვისტოს დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში დასაქმებული ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონის ამაღლებლად ჩატარებული მუშაობის საზოგადოებრივი დათვალიერებისა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში დასაქმებული ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონის ამაღლებისათვის გაწეული მუშაობის დათვალიერება რესპუბლიკის პროფკავშირული, კომკავშირული და სახალხო განათლების ორგანოების მიერ ტარდება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად, რომელიც მიზნად ისახავს:

1970 წლისათვის წარმოებიდან მოუწყვეტლად ზოგადი განათლების სისტემაში ჩაებას ყველა ახალგაზრდა 30 წლის ასაკამდე, რომელსაც არა აქვს რვაწლიანი ან საშუალო განათლება: მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი მოსწავლეთა გასთესვის შემთხვევები: ამაღლდეს წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ადმინისტრაციის, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა სახალხო მეურნეობაში დასაქმებული ახალგაზრდობის ზოგადი განათლების დონის ამაღლებისა და ახალგაზრდობის ტექნიკური პროგრესის საკითხებისადმი.

ყველა აუცილებელი პირობა შექმნეს საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლებისა და საშუალო განათლების კანონების განხორციელებისათვის;

პედაგოგიური კოლექტივების, კომკავშირული და პროფკავშირული ორანიზაციების ყურადღების ცენტრში მოექცეს თითოეული ახალგაზრდა, რომელიც მუშაობს და სწავლობს; საზოგადოებრიობის აქტიური მხარდაჭერით ქმედითი ღონისძიებები გატარდეს მათ შორის სწავლისა და დასვენებისათვის აუცილებელი, ნორმალური პირობების შესაქმნელად.

ამაღლდეს საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონე.

მოწესრიგდეს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების, სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებისა და დამოუკიდებელი კლასებისა და ჯგუფების ქსელი იმ ვარაუდით, რომ საამშენებლო დაწესებულებებში, ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მომუშავე ახალგაზრდობას შეექმნას სწავლებისათვის ყველაზე ხელსაყრელი პირობები.

განმტკიცდეს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა, უზრუნველყოფილ იქნენ ისინი ვარგისი სასკოლო შენობებით, სასწავლო და სამეურნეო აღჭურვილობით, სახელმძღვანელოებითა და თვალსაჩინოებით.

## დათვალიერებაში მონაწილეობენ:

რესპუბლიკის წარმოება-დაწესებულებები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სკოლები, პედაგოგიური ინსტიტუტები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები, სახალხო განათლების რაიონული და საქალაქო განყოფილებები.

დათვალიერებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ახალგაზრდა მასწავლებლები, სპეციალისტები, სტუდენტები, უფროსი კლასების მოსწავლეები. ისინი ყოველმხრივ დახმარებას უწევენ ახალგაზრდებს, რომლებიც სწავლობენ ან ემზადებიან საღამოს სკოლაში შესასვლელად. ინდივიდუალური შეფობა უნდა გადაიქცეს საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში მშრომელი ახალგაზრდობის მასობრივი ჩაბმისათვის გაწეული მუშაობის ერთ-ერთ ძირითად ფორმად.

## რესპუბლიკური საორგანიზაციო კომისია

დათვალიერების ხელმძღვანელობა დაევალოს რესპუბლიკურ კომისიას შემდეგი შემადგენლობით:

1. ლაღიძე ნ.—საქართველოს ალკკ ცკ-ის მდივანი;
2. ობოლაძე უშ.— საქ. სსრ განათლების მინისტრის მოადგილე;
3. ვასაძე ნ.—პროფკავშირთა საქართველოს რესპ. საბჭოს მდივანი;

4. იოსელიანი დ.—განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე;

5. კანდელაკი რ.—საქ. სსრ განათლების სამინისტროს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს უფროსი;

6. ნინუა ჯ.—საქ. ალკკ ცკ ის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგის მოადგილე;

7. შაფაქიძე გ.—საქ. სსრ განათლების სამინისტროს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მეთოდური კაბინეტის დირექტორი;

8. გაფრინდაშვილი ჯ.—გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" განყოფილების გამგე;

9. ოგანეზაშვილი ლ.—გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" განყოფილების გამგე;

10. ფაილოძე ნ.—გაზეთ „სახალხო განათლების" განყოფილების გამგე;

11. გიორგაძე ე.—რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლის დირექტორი;

12. ჯოლია კ.—რუსთავის მუშა ახალგაზრდობის № 2 ცვლიანი სკოლის დირექტორი;

13. დიაკონიძე ნ.—თერჯოლის რაიონის ჩხარის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის დირექტორი;

14. ფერაძე ვ. თბილისის მუშა ახალგაზრდობის 23-ე საშუალო სკოლის დირექტორი;

15. ბანძელაძე გ.—თბილისის ა. პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი;

16. ბურჭულაძე მ.—გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საღამოს სკოლების სექტორის გამგე;

17. ჩიხორია ნ.—საქ. ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი;

18. კევლიშვილი ს.—საზოგადოება „ცოდნა"-ს განყოფილების გამგე.

## დათვალიერების ხელმძღვანელობა

დათვალიერების ხელმძღვანელობა ევალება რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომისიებს, აგრეთვე წარმოება-და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესებულებების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების საორგანიზაციო კომისიებს.

### რესპუბლიკური კომისია

ხელმძღვანელობს, აკონტროლებს და სისტემატურ დახმარებას უწევს საოლქო, საქალაქო, რაიონულ, აგრეთვე წარმოება-დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების კომისიებს.

იხილავს და ამტკიცებს რესპუბლიკებში, ოლქში, ქალაქებსა და რაიონებში დათვალიერების მიმდინარეობის გეგმებს ეტაპების მიხედვით და აკონტროლებს მათი შესრულების მიმდინარეობას.

რაიონების, ქალაქების, საწარმოების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიხედვით ამოწმებს იმ ახალგაზრდების აღრიცხვის სიზუსტეს, რომელთაც არა აქვთ რვაწლიანი და საშუალო განათლება, გადამჭრელ ზომებს იღებს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

წინასწარი შემოწმების შემდეგ ისმენს უწყებების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელების, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების ანგარიშს მუშა-მოსამსახურეთა ზოგადი განათლების ამაღლების მდგომარეობის შესახებ.

იხილავს კომისიებისა და უწყებების წინადადებებს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების ნორმალური მუშაობისათვის უკეთესი პირობების შექმნის თაობაზე: იღებს ზომებს სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის გაუმჯობესებისათვის; შესაბამის წინადადებებსა და რეკომენდაციებს უგზავნის განათლების ორგანოებს, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს.

იხილავს წინადადებებს საუკეთესო პედაგოგიური კოლექტივების, წარმოება-დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, სახალხო განათლების კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა და დათვალიერების ცალკეული მონაწილეების წახალისების შესახებ.

### რაიონული და საქალაქო კომისიები

იხილავენ და აზუსტებენ რაიონების, სასოფლო და სადაბო საბჭოების, წარმოება-დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მიხედვით საყოველთაო სწავლების განხორციელების გეგმებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამუშავებენ და განათლების ორგანოებს განსახილველად გადასცემენ თავიანთ მოსაზრებებს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების ქსელის, აგრეთვე ცალკეული კლასებისა და ჯგუფების ნორმალურად განლაგების შესახებ.

ატარებენ ღონისძიებებს დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო განათლების არმქონე ახალგაზრდების კონტინგენტის დასაზუსტებლად, წარმოება-დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში ახორციელებენ ღონისძიებებს ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

აკონტროლებენ საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში მოსწავლეთა მიღების მიმდინარეობას, იღებენ ზომებს სწავლებაში ყველა ახალგაზრდის ჩაბმისათვის, იღებენ ზომებს განთესვის სალიკვიდაციოდ.

წინასწარი შემოწმების შემდეგ ისმენენ ადგილობრივი კომისიების, საწარმოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელების, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების ანგარიშს მომუშავე ახალგაზრდობის ზოგადი განათლების ამაღლებისათვის გაწეული მუშაობის შესახებ.

ამოწმებენ საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების, სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების პირობებს, ზრუნავენ მათი მატერიალური და სასწავლო პირობების გაუმჯობესებისათვის.

იხილავენ და ამტკიცებენ დათვალიერების ჩატარების გეგმებს, გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებენ ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და რესპუბლიკურ კომისიას ეტაპების მიხედვით.

## წარმოება-დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების კომისიები

ამოწმებენ და აზუსტებენ 50 წლის ასაკამდე მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა კონტინგენტს განათლების მიხედვით.

აქტიურად მონაწილეობენ მუშა-მოსამსახურე და სოფლის ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონის ამაღლების გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში.

მახლობელი საღამოსა და დაუსწრებელი სკოლის ხელმძღვანელობასა და მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობენ მოსწავლეთა მიღების ორგანიზაციაში; ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ

მუშა-მოსამსახურე და კოლმეურნე ახალგაზრდობა მაქსიმალურად ჩაბან სკოლაში, იღებენ ზომებს სკოლებიდან მოსწავლეთა გათესვის ლიკვიდაციისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლების ხელმძღვანელებთან ერთად ამტკიცებენ სასწავლო-სამეცადინო განრიგს (განსაზღვრავენ მეცადინეობისათვის უფრო მიზანშეწონილ დღეებს და საათებს), სისტემატურად ამოწმებენ სკოლებისა და სასწავლო პუნქტების მუშაობას, იღებენ ზომებს მათი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

იღებენ ზომებს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლებისა და სასწავლო პუნქტების შენობებით, სასწავლო და სამეურნეო აღჭურვილობით, სახელმძღვანელოებითა და თვალსაჩინო ხელსაწყოებით, მოსწავლეებისა და მასწავლებლების ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის.

ისმენენ საწარმოებისა და საზოგადოებრივი ორგანოების, საამქროების უფროსების, საბჭოთა მეურნეობის განყოფილების მმართველების, ფერმის გამგეების, კადრების დარგში ინსპექტორის ანგარიშებს მუშა მოსამსახურე და კოლმეურნე ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონის ამაღლებისათვის გატარებული ღონისძიებების შესახებ.

აწყობენ მასობრივ ღონისძიებებს ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის პროპაგანდისათვის.

წყვეტენ სწავლასა და შრომაში მოწინავე ახალგაზრდების, აგრეთვე დათვალიერების საუკეთესო მონაწილეთა დაჯილდოების საკითხს.

ეტაპების მიხედვით იხილავენ და ამტკიცებენ კომისიის მუშაობის გეგმებს და ანგარიშს აბარებენ რაიონულ საქალაქო კომისიას.

## დათვალიერების ვადები

დათვალიერება ტარდება 1969 წლის 1-ლი ივნისიდან 1970 წლის 1-ელ ივლისამდე სამ ეტაპად:

I ეტაპი—1969 წლის 1-ლი ივლისიდან 30 აგვისტომდე—მოსამზადებელი ეტაპი კონტინგენტის დაზუსტებისა და სკოლაში მოსწავლეთა ჩაბმისათვის;

II ეტაპი—1969 წლის 30 აგვისტოდან 1970 წლის 1-ელ იანვრამდე—სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

III ეტაპი—1970 წლის 1-ლი იანვრიდან 1970 წლის 1-ელ ივლისამდე—სასწავლო წლის შედეგები: დათვალიერების ჩატარების მასალების დაჯამება.

წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კომისიები ანგარიშს თითოეული ეტაპის შედეგების შესახებ რაიონულ, საქალაქო კომისიაში ადგენენ 5 სექტემბერს, 5 იანვარს, 1-ელ ივლისს; რაიონული და საქალაქო კომისიები რესპუბლიკურ კომისიაში (ოლქში—საოლქო კომისიაში) ეტაპების შედეგებს აგზავნიან არაუგვიანეს 10 სექტემბრისა, 10 იანვრისა 10 ივლისისა.

დათვალიერების საბოლოო შედეგები შეჯამდება 1970 წლის 30 ივლისისათვის.

დათვილიერების რესპუბლიკური კომისიის მისამართია: ქ. თბილისი, მაჩაბლის ქ. № 11, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, სასკოლო განყოფილება.

| | | |
|---|---|---|
| საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილება | პროფკავშირთა საქალაქო რესპუბლიკური საბჭოს საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობის განყოფილება | საქ. სსრ განათლების სამინისტროს სადამოხა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წ. 18 აგვისტოს ბრძანება № 451

### სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების 1969—1970 სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ

სამმართველოს მიერ ივლის-აგვისტოში ჩატარებულმა შემოწმებამ ცხადჰყო, რომ სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების, საგრძნობი ნაწილი დროულად შეუდგა ახალი, 1969—1970 სასწავლო წლისათვის მზადებას.

თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-ინტერნატი (დირექტორი ამხ. ვ. მელაძე) უკვე მზადაა ახალი სასწავლო წლისათვის. კლასები ძირითადად დაკომპლექტებულია შესაფერისი კონტინგენტით, ჩატარებულია საძინებელი და სასწავლო კორპუსების შეკეთება, შეძენილია და მიზიდულია რბილი და მაგარი ინვენტარი, კაბინეტ-ლაბორატორიები შევსებულია ახალი ხელსაწყო-იარაღებით და სხვ.

მომზადებული ხვდება ახალ სასწავლო წელს თბილისის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი (დირექტორი ამხ. ზ. უკლება). ჩატარებულია შენობა-ნაგებობათა რემონტი, წესრიგშია მოყვანილი კომუნიკაციები, შეძენილია სახელმძღვანელოები და თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღები, დამტკიცებული გეგმის მიხედვით შევსებულია მოსწავლეთა კონტინგენტი, სკოლა-ინტერნატი უზრუნველყოფილია ინვენტარით და ა. შ.

ქ. თბილისის ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში (დირექტორი ამხ. ხეთერელი) ხარისხიანად ჩატარდა საძინებელი და სასწავლო კორპუსების კაპიტალური რემონტი. ჩქარი ტემპით მიმდინარეობს სასკოლო შენობაზე ახალი 28 ოთახიანი შენობის მიშენება, რომლის დამთავრება განზრახულია სექტემბრისათვის, შეძენილია სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ახალი სასწავლო წლისათვის მზადება ატენისა და გურჯაანის საშუალო, ქუთაისის და მახარაძის რვაწლიან, სალხინოს სანატორიულ სკოლა-ინტერნატებში, ბეთანიის, კოჯრის პირველსა და სამგორის საბავშვო სახლებში, თბილისის № 1 დამხმარე სკოლა-ინტერნატში და სხვ.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთ სკოლა-ინტერნატში, საბავშვო სახლსა და სპეციალურ სკოლა-ინტერნატში ახალი სასწავლო წლისათვის მზადება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. დღემდე დაწყებული არაა შენობა-ნაგებობათა კაპიტალური და მიმდინარე რემონტი. წესრიგში მოყვანილი არ აქვთ ცენტრალური გათბობის სისტემა, რბილი და მაგარი ინვენტარის შესაძენი თანხები აუთვისებელია, შეფერხებებია სახელმძღვანელოებისა და სასწავლო ნივთების შეძენაში, დღემდე არ დაუმთავრებიათ კლასების დაკომპლექტება და სხვ.

ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს კაპიტალური რემონტი გეგეჭკორის საშუალო სკოლა-ინტერნატში (დირექტორი ამხ. მ. მამარდაშვილი), რემონტისათვის გამოყოფილი 20 ათასი მანეთი თითქმის აუთვისებელია. შემოწმების დღისათვის შეკეთებული იყო მხოლოდ საპირფარეშოები და წყალგაყვანილობა. საძინებელ და სასწავლო კორპუსებში სამღებრო სამუშაოების დაწყებაზე არც უფიქრიათ. არ დაუწყიათ სამუშაოები ცენტრალური გათბობის სისტემის ქვაბების შესაკეთებლად და ა. შ.

კოჯრის № 2 და № 3 საბავშვო სახლებში დღემდე დაწყებული არ არის სარემონტო სამუშაოები, არ აქვთ შეზიდული ქვანახშირი და შეშა.

სარემონტო სამუშაოების მხრივ იგივე მდგომარეობაა სურამის საბავშვო სახლში. აქ არ გააჩნიათ ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ყოველდღიური გრაფიკი. არა აქვთ ათვისებული რბილი და მაგარი ინვენტარისათვის შესაძენი თანხები. ამ ღონისძიებისათვის გამოყოფილი 15.000 მანეთიდან შემოწმების დღისათვის ათვისებული იყო მხოლოდ 8.181 მანეთი.

ბოდბის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის საძინებელ კორპუსში წესრიგში არ არის მოყვანილი ცენტრალური გათბობის სისტემა. ცუდ მდგომარეობაშია პირსაბანები და საპირფარეშოები, არა აქვთ შეზიდული სახელმძღვანელოები და სხვ.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ახალი საწავლო წლისათვის მზადება სიღნაღის დამხმარე სკოლა-ინტერნატში. რემონ-

ტისათვის გამოყოფილი 3.000 მანეთიდან დღემდე არც ერთი მანეთი არ არის ათვისებული, რაც ეჭვქვეშ აყენებს რემონტის დროულად დამთავრებას.

იმის გამო, რომ ვერ გამოინახა თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატისათვის კაპიტალური რემონტის ჩამტარებელი სამშენებლო ორგანიზაცია, საქართველოს სსრ უსინათლოთა საზოგადოების მიერ ამ ღონისძიებისათვის გამოყოფილი 13.895 მანეთი, უკან დაუბრუნდა საზოგადოებას.

შეჩერებულია სარემონტო სამუშაოები თბილისის მუსიკალურ სკოლა-ინტერნატში, სარემონტო თანხების დაგვიანებით გადარიცხვის გამო.

მუშაობაში არსებული ზემოხსენებული და სხვა ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმით, რომ სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებმა და სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების დირექტორებმა იმთავითვე არ გაშალეს მუშაობა ახალი, 1969—1970 სასწავლო წლის წარმატებით შესახვედრად.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ერთხელ კიდევ შეამოწმონ ახალი სასწავლო წლისათვის სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების მზადების მიმდინარეობა;

ბ) მიიღონ გადამჭრელი ზომები ახალი სასწავლო წლისათვის სკოლა-ინტერნატების კონტინგენტის გეგმის შესასრულებლად, არ დაუშვან სკოლა-ინტერნატებიდან აღსაზრდელთა უმიზეზოდ გასვლის შემთხვევები.

2. სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა მაქსიმალურად გამოიყენონ დარჩენილი დრო გათვალისწინებული სამუშაოების დასამთავრებლად, ახალი, 1969—1970 სასწავლო წლის ნორმალურად დაწყების უზრუნველსაყოფად.

3. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) 1969 წლის 1-ელ სექტემბრამდე გაატა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს ღონისძიებანი სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების და სპეციალური სკოლა-ინტერნატების ახალი, 1969—70 სასწავლო წლის ორგანიზებულად შეხვედრისათვის.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1969 წლის 12 აგვისტოს დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. ობოლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წ. 18 აგვისტოს ბრძანება № 450

**1969 წლის ზაფხულის პერიოდში მუშებისა და მოსამსახურეების ბავშვთა დასვენების ორგანიზაციის შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წლის 20 ივნისის № 357 ბრძანების შესრულების შემოწმების შედეგების შესახებ**

რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატები და საბავშვო სახლები დროულად შეუდგნენ საზაფხულო-გამაჯანსაღებელ მუშაობას: წინასწარ შეირჩა სააგარაკო ადგილები; ფართოდ გაიშალა მუშაობა მათი კეთილმოწყობისა და მომარაგების მოსაგვარებლად; დაზუსტდა აგარაკზე გასაყვან აღსაზრდელთა სიები; ბავშვთა სრულყოფილი გონივრული გართობისა და ფიზიკური წრთობის უზრუნველსაყოფად შეირჩა კვალიფიციური აღმზრდელ-მასწავლებელთა და სამედიცინო პერსონალის შტატი.

ზაფხულის პერიოდში აგარაკზე გაყვანილი იქნა 1.033 აღსაზრდელი, ქობულეთისა და პატარა ცემის სანატორიულ სკოლებში გაიგზავნა 1.500, ხოლო ადგილობრივ გამაჯანსაღებელ ლონისძიებებზე გადაყვანილი იქნა 2.770 აღსაზრდელი.

ორგანიზებულად მიმდინარეობს საზაფხულო-გამაჯანსაღებელი მუშაობა მახარაძისა და გორდის სკოლა-ინტერნატებში, ქობულეთის სანატორიულ სკოლაში, კოჯრის №№ 1, 2, 3, სამგორის, გეგეჭკორისა და სურამის საბავშვო სახლებში. აქ აღსაზრდელები უზრუნველყოფილი არიან კეთილმოწყობილი შენობებით, რბილი და მაგარი ინვენტარით, სამედიცინო მომსახურებით, ნოყიერი კვებითა და სხვ. ისინი სისტემატურად სარგებლობენ მზის, წყლისა და ჰაერის აბაზანებით. ამ დაწესებულებებში კარგადაა მოწყობილი კულტურულ-მასობრივი მუშაობა: ეწყობა ექსკურსიები, გასეირნებები, სპორტული თამაშობანი, შეჯიბრებები, დილა-საღამოები, მხატვრული თვითმოქმედების კონცერტები, სისტემატურად ხდება კინოფილმების ჩვენება და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოედნო მუშაობაზე გადაყვანილ აღსაზრდელებთან სისტემატურად ტარდება გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრები, ეწყობა ექსკურსიები, კინოფილმების, თოჯინებისა და პიონერული თეატრების სპექტაკლების ჩვენება.

აგარაკებზე გაყვანილ და სამოედნო მუშაობაზე გადასულ აღსაზრდელთა კვება ძირითადად დამაკმაყოფილებელია. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების უმრავლესობაში მზადდება გემრიელი და მრავალფეროვანი კერძები. სათანადო ყურადღება ეთმობა აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურებას, მოწყობილია მედპუნქტები, გამოყოფილია იზოლატორები, ჰიგიენის ოთახები და სხვ. ბანაკები უზრუნველყოფილია ინვენტარ-მოწყობილობითა და მედიკამენტებით.

მიუხედავად აღნიშნული მდგომარეობისა, საზაფხულო-გამაჯანსაღებელ მუშაობას ახასიათებს რიგი ნაკლოვანებები: ბევრ სკოლა-ინტარნატსა და საბავშვო სახლში არ ჩატარებულა აღსაზრდელთა ღრმა სამედიცინო შემოწმება და თანამშრომელთა უმრავლესობას არ გააჩნია სანიტარული წიგნაკები.

ბოდბის პიონერთა ბანაკი (ბანაკის უფროსი ამხ. ა. აბულაძე) მუშაობს სკოლა-ინტერნატის სისტემით; ბანაკში არაა მოწყობილი პიონერული ხაზი, ანძა, არ ტარდება დილა-საღამოს პიონერების გამოსვლა ხაზზე, პიონერებს არ აქვთ ყელსახვევები, არ ხდება ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა-განზოგადება და სხვ. ბანაკი სუსტად მარაგდება კვების პროდუქტებით აღსაზრდელებს არ ეძლევათ კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და სხვ. შენობაში პირსაბანები და სველი წერტილები არაა წესრიგში მოყვანილი.

ანალოგიური მდგომარეობაა პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმში (დირექტორი ამხ. დ. ჭავჭანიძე). აქ აღსაზრდელებს ნორმასთან შედარებით დააკლეს ბოსტნეული, ახალი ხილი, თევზი, ნატურალური რძე, კვერცხი და სხვ. შემოწმების დღეს მზარეულმა თ. გედევანიძემ სამხარსა და ვახშამზე გასაცემ პროდუქტებიდან აღსაზრდელებს დააკლო 700 გრ. მოხარშული ხორცი, 700 გრ. კარაქი, 19.6 კგ. პური, 230 გრ. შაქარი. ფიზიკურად სუსტი აღსაზრდელები არ არიან გადაყვანილი გაძლიერებულ კვებაზე. უკონტროლობის შედეგად სუსტია აღმზრდელ მასწავლებელთა მუშაობა.

ბანაკები ნაკლებად მარაგდებიან ახალი ხორცით, რძით, ბოსტნეულით, ხილით და სხვა აუცილებელი პროდუქტებით. ზოგჯერ

აღსაზრდელები ნაცვლად ოთხჯერადი კვებისა ღებულობენ სამჯე-რად კვებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების დირექ-ტორებმა:

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ ბანაკებისა და მოედნების აღ-მზრდელ-მასწავლებელთა, სამედიცინო პერსონალის მუშაობა; სის-ტემატურად შეამოწმონ მათი საქმიანობა, შემოწმების შედეგები განიხილონ საბჭოების სხდომებზე და გაატარონ საჭირო ღონის-ძიებანი შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

ბ) კულტმასობრივი მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესების გზით მიაღწიონ აღსაზრდელთა გონივრულ დასვენება-გართობისათვის ნორმალური პირობების შექმნას, მოაწყონ დასვენებისა და გართო-ბის ოთახები და ამ საქმეში ფართოდ გამოიყენონ საშეფო ორგა-ნიზაციები;

გ) სისტემატურად ჩაატარონ აღსაზრდელთა ღრმა სამედი-ცინო შემოწმება, სანიტარულ-ჰიგიენური პირობებისა და აღსა-ზრდელთა პირადი ჰიგიენის დაცვა;

დ) მკვეთრად გააუმჯობესონ სამეურნეო-საფინანსო საქმია-ნობა; კვების პროდუქტებით არადამაკმაყოფილებლად მომარაგე-ბისა და კვების რეჟიმის დარღვევის ყველა შემთხვევა გახადონ ადგილობრივი ორგანოების მსჯელობის საგნად.

2. პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმის დირექტორმა ამხ. დ. ჭავჭანიძემ აღსაზრდელებზე განკუთვნილი პროდუქტების მითვისებისათვის გაათავისუფლოს მზარეული ო. გედევანიძე და-კავებული თანამდებობიდან.

3. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართვე-ლომ (ამხ. რ. კანდელაკმა) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1969 წლის 12 აგვისტოს დადგენი-ლება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. იზოლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**
19 აგვისტო, 1969 წ. № 477

# მ ი თ ი თ ე ბ ა ნ ი

## წერა-კითხვის უცოდინარი და მცირემცოდნე მოზრდილი მოსახლეობის სწავლების შესახებ

1. 16—49 წლის ასაკის წერა-კითხვის უცოდინარი და მცირემცოდნე მოზრდილი მოსახლეობის აღრიცხვას ზოგადსაგანმანათლებლო დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების მუშაკთა საშუალებით კარი-კარ შემოვლით, პირადი გასაუბრების საფუძველზე, ატარებს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება და გამოვლინებულ ერთეულ უცოდინარებსა და მცირემცოდნეთა სიებს, საბოლოო დაზუსტების მიზნით, უდარებს სასოფლო საბჭოში არსებულ საკომლო წიგნებს.

2. წერა-კითხვის უცოდინარობა რესპუბლიკაში არსებითად მთლიანად ლიკვიდირებულია, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მოზრდილ მოსახლეობაში გამოვლინდება წერა-კითხვის თუნდაც ერთი უცოდინარი, განათლების განყოფილება დაუყოვნებლივ აბამს მას სწავლებაში და ამის შესახებ აცნობებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

3. განათლების განყოფილება 25 აგვისტომდე აყალიბებს წერა-კითხვის მცირემცოდნეთა ჯგუფებს და მათთვის, აგრეთვე ერთეული უცოდინარებისათვის, გამოყოფს სათანადო ცენზისა და პედაგოგიური გამოცდილების მქონე მასწავლებლებს. იმ ადგილებში, სადაც ჯგუფების შექმნა კონტინგენტის სიმცირის გამო შეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლებელი ხდება, მეცადინეობა ეწყობა ინდივიდუალური სწავლების წესით.

4. წერა-კითხვის უცოდინარებთან და მცირემცოდნეებთან სწავლება იწყება 1-ელ სექტემბერს. სასწავლო წელი გრძელდება 9 თვეს, 1-ლი სექტემბრიდან 1-ელ ივნისამდე, გამოსაშვები და გადასაყვანი გამოცდებისათვის საჭირო დროის ჩათვლით.

**შენიშვნა:** ინდივიდუალური სწავლებისას შესაძლებელია საპროგრამო მასალის გავლას დაეთმოს უფრო მცირე დრო.

5. სასწავლო წელი იყოფა ორ ნახევარწლად: პირველი ნახევარი—1/IX-დან 31/XII-მდე (შეიცავს 17 სასწავლო კვირას), მეორე 1/I-დან 1/VI მდე (შეიცავს 20 სასწავლო კვირას).

6. სასწავლო გეგმით წერა-კითხვის უცოდინართა სწავლებისათვის წლის მანძილზე გათვალისწინებულია 330 საათი, აქედან მშობლიურ ენას ეთმობა 200, არითმეტიკას—130.

7. სასწავლო გეგმით მცირემცოდნეთა სწავლებისათვის გათვალისწინებულია 330 საათი, აქედან მშობლიურ ენას ეთმობა 145 საათი, არითმეტიკას—125, გეოგრაფიას 60.

8. წერა-კითხვის მცირემცოდნე ჯგუფები ყალიბდება 10—15 კაცის რაოდენობით.

9. წერა-კითხვის ერთეული უცოდინარები და მცირემცოდნეთა ჯგუფები მეცადინეობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1963 წლის 8 თებერვალს დამტკიცებული პროგრამებითა და სასწავლო გეგმებით.

10. სკოლის დირექტორები ვალდებულნი არიან:

ა) წერა-კითხვის უცოდინარ და მცირემცოდნე მოქალაქეებს 31 აგვისტომდე აცნობონ მეცადინეობის ადგილი და დრო;

ბ) დაესწრონ მსმენელთა მეცადინეობას და გაუწიონ საჭირო მეთოდური დახმარება მასწავლებლებს;

გ) მსმენელთა მიერ მეცადინეობის გაცდენის წინააღმდეგ მიიღონ სათანადო ზომები.

პროგრამით გათვალისწინებული კურსის დამთავრების შემდეგ 24 მაისიდან 31 მაისამდე ტარდება გამოცდები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1964 წლის 16 დეკემბერს დამტკიცებული ინსტრუქციის „წერა-კითხვის უცოდინარ და მცირემცოდნე მოქალაქეთა გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების შესახებ"—საფუძველზე (იხ. საქართველოს სსრ განათლების სამინისტ-

როს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული № 9 10, 1964 წელი).

11. პროგრამული მასალის ათვისებისა და მეცადინეობის დამთავრების შემდეგ მსმენელებზე გაიცემა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სათანადო ნიმუშის ცნობა (იხ. ზემოაღნიშნული კრებული № 9—10, 1964 წ.).

12. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებები ყოველი წლის 15 ივლისისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს უდგენენ მოხსენებით ბარათს მოზრდილ მოსახლეობაში ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობის შესახებ.

დანართი—სასწავლო გეგმა.

საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების
სამმართველოს უფროსი ვ. ჩინჩალაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### 16—49 წლის მოსახლეობის წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა ჯგუფების სასწავლო გეგმები 1969—1970 სასწავლო წლისათვის

| ჯგუფები | საგანი | კვირეული საათების რაოდენ. I ნახევარი წელი | კვირეული საათების რაოდენ. II ნახევარი წელი | წლიური საათების რაოდენობა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| წერა-კითხვის უცოდინარი | 1. მშობლიური ენა . | 6 | 5 | 200 | |
| | 2. არითმეტიკა . . | 3 | 4 | 130 | |
| | | | | 330 | |
| მცირემცოდნე | 1. მშობლიური ენა . | 5 | 3 | 145 | |
| | 2. არითმეტიკა . . . | 4 | 3 | 125 | |
| | 3. გეოგრაფია . . . | 0 | 3 | 60 | |
| | | | | 330 | |

შენიშვნა: 1. სწავლების ვადა 9 თვეა. ჯგუფური მეცადინეობა ტარდება კვირაში სამ დღეს, სამი საათის ხანგრძლივობით.

2. ინდივიდუალური სწავლებისას შესაძლებელია საპროგრამო მასალის გავლას დაეთმოს უფრო მცირე დრო.

საგეგმო-საფინანსო სამმართველოს
უ ფ რ ო ს ი
ა. კვაჭაძე

სალამოსა და დაუსწრებელი
სკოლების სამმართველოს
უფროსი ვ. ჩინჩალაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**
1969 წლის 19 აგვისტო, № 476

# მ ი თ ი თ ე ბ ა ნ ი

## წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდობის სწავლების შ ე ს ა ხ ე ბ

1. წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდობის სწავლება ეწყობა ამ კონტინგენტის ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონის ამაღლებისა და რუსული ენის შესწავლის მიზნით.

2. სწავლებაში ჩასაბმელი 15—16 წლის წვევამდელების აღრიცხვას 1-ლ სექტემბრამდე ატარებს რაიონის (ქალაქის) სამხედრო კომისარიატი, რომელიც მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებთან არსებულ სამხედრო-აღრიცხვის მაგიდებიდან ღებულობს აღნიშნული ასაკის ახალგაზრდების სიებს (ფორმა № 6) ცალ-ცალკე თითოეული ასაკის მიხედვით და დაუყოვნებლივ უგზავნის განათლების განყოფილებას.

3. რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება 1-ლ სექტემბრამდე აზუსტებს სკოლებში დაუბრუნებელ 8 კლასის განათლების არმქონე ახალგაზრდების რაოდენობას, აყალიბებს ჯგუფებს რუსული ენის შესასწავლად, ამტკიცებს მასწავლებლებს და სამ ეგზემპლარად ადგენს კონტინგენტის სახელობით სიებს, რომელთაგან თითო ეგზემპლიარს უგზავნის რაიონის სამხედრო კომისარიატსა და სკოლას, ერთს კი ინახავს განათლების განყოფილებაში.

შენიშვნა: იმ ადგილებში, სადაც ჯგუფების შექმნა კონტინგენტის სიმცირის გამო შეუძლებელია, მეცადინეობა ეწყობა ინდივიდუალური სწავლების წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ახალგაზრდებს, რომლებიც სასწავლებლად მიმაგრებული არიან სკოლებზე, სამხედრო კომისარიატი აძლევს მიწერილობას (ფორმა № 7).

5. 8 კლასის განათლების არმქონე და რუსული ენის არმცოდნე და სუსტადმცოდნე გასაწვევი ასაკის ახალგაზრდები, რომლებიც გამოვლინებულნი იქნებიან იანვარში მიწერის პერიოდში, სწავლებაში დაუყოვნებლივ უნდა იქნენ ჩაბმულნი. მათთან მეცადინეობა ეწყობა იმ ვარაუდით, რომ გაწვევამდე მოესწროს პროგრამული მასალის მთლიანად ათვისება.

6. რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება ადგილობრივ ორგანოებთან ერთად გადამჭრელ ზომებს იღებს წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდების სათანადო სახელმძღვანელოებით, სასწავლო ნივთებით, სამეცადინო ბინით, ინვენტარითა და გათბობა-განათებით უზრუნველსაყოფად.

7. წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდების სწავლების ორგანიზაციის საქმეში პასუხისმგებლობა ეკისრებათ რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებებს და სამხედრო კომისარიატებს.

8. რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება პერიოდულად ამოწმებს წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდობის სწავლების მიმდინარეობას, იღებს ზომებს შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ხოლო სამხედრო კომისარიატი მეცადინეობებზე ახალგაზრდების რეგულარულად დასწრების კონტროლის გაწევის მიზნით, არანაკლებ თვეში ერთხელ, აგზავნის თავის წარმომადგენლებს იმ სკოლებში, სადაც სწავლობენ ახალგაზრდები. ახალგაზრდების მიერ სკოლებში მეცადინეობის გაცდენის ყველა შემთხვევის შესახებ სამხედრო კომისარიატი აცნობებს იმ საწარმოო-დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელებს, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს, სადაც ეს ახალგაზრდები მუშაობენ.

9. კურსდამთავრებულს ეძლევა რვაწლიანი სკოლის დამთავრების მოწმობა ან ცნობა იმის შესახებ, თუ რომელი კლასის ფარგლებში ჩააბარა გამოცდები. ამ დოკუმენტების საფუძველზე სამხედრო კომისარიატებს შეაქვთ სათანადო ცვლილებანი გასაწვევის ბარათში.

10. ცნობებს ახალგალგაზრდების სწავლების შესახებ, რომლებშიც აღინიშნება, თუ რამდენი უნდა ჩაბმულიყო სწავლებაში,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამდენი ჩაება და რამდენმა დაამთავრა კურსი, იანვარსა და ივლისში წარადგენენ:

ა) სკოლის დირექტორები—რაიონის განათლების განყოფილებაში;

ბ) რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებები—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში და რაიონის სამხედრო კომისარიატში, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში შემავალი რაიონების განათლების განყოფილებები ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის განათლების სამინისტროებსა და განყოფილებაში, აგრეთვე რაიონის სამხედრო კომისარიატში; ეს უკანასკნელი შესაბამისად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში.

11. წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდების სწავლება იწყება 1-ლ სექტემბერს.

12. სასწავლო წელი გრძელდება 9 თვეს (1-ლი სექტემბრიდან 1-ელ ივნისამდე) გამოსაშვები გამოცდებისათვის საჭირო დროის ჩათვლით.

სასწავლო წელი შედგება ორი ნაწილისაგან: პირველი ნახევარი 1/IX-დან 31/XII-მდე (შეიცავს 17 სასწავლო კვირას), მეორე—1/I-დან 1/VI-მდე (შეიცავს 20 სასწავლო კვირას).

13. სასწავლო გეგმით წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდობაში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ სასწავლო წლის განმავლობაში გათვალისწინებულია 330 საათი, აქედან მშობლიურ ენას ეთმობა 200, ხოლო არითმეტიკას—130 საათი, წერა-კითხვის მცოდნეთა სწავლებისათვის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია 300 საათი, აქედან მშობლიურ ენას ეთმობა 145, არითმეტიკას—125, გეოგრაფიას—60 საათი.

**შენიშვნა:** წერა-კითხვის უცოდინარი და მცირემცოდნე წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდები, რომლებმაც არ იციან რუსული ენა, გარდა ამ პარაგრაფში აღნიშნული საგნებისა, სწავლობენ რუსულ ენას, რომელსაც დამატებით ეთმობა 120 საათი.

14. რუსული ენის არმცოდნე ან სუსტადმცოდნე არარუსი, წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდები სწავლობენ მხოლოდ რუსულ ენას, რომელსაც ეთმობა 250 საათი.

15. წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდების ჯგუფები ყალიბდება 10—15 კაცის რაოდენობით.

შენიშვნა: ა) ადგილობრივი პირობების შესაბამისად, განათლების განყოფილებებს, გამონაკლის შემთხვევაში, უფლება ეძლევათ წვევამდელთა შორის მცირემცოდნეობის ლიკვიდაციისათვის ასიგნებული თანხების ფარგლებში მასწავლებლებს შრომა აუნაზღაურონ მაშინაც, როცა ჯგუფში 7—9 კაცზე ნაკლებია.

ბ) სადაც ადგილობრივი პირობების ან კონტინგენტის სიმცირის გამო შეუძლებელია ჯგუფის ჩამოყალიბება, მეცადინეობა იწარმოებს ინდივიდუალური სწავლების წესით;

გ) წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდებს, თუ ისინი ერთნაირი პროგრამით მუშაობენ, უნდა გაერთიანდნენ იმავე ჯგუფში.

16. წერა-კითხვის ერთეული უცოდინარები და მცირემცოდნეთა ჯგუფები მეცადინეობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1963 წლის 8 თებერვალს დამტკიცებული პროგრამებით, ხოლო რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფები — რსფსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამით.

17. წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდების სწავლებისათვის გამოიყენება დაწყებითი კლასების ის სახელმძღვანელოები, რომლებიც შეესაბამება სათანადო საგნის პროგრამას, ხოლო რუსული ენის შემსწავლელ ახალგაზრდებისათვის—პროფესორ სოვეტკინის რუსული ენის სახელმძღვანელო.

18. სკოლების დირექტორები ვალდებულნი არიან:

ა) წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდობას 5 სექტემბრამდე აცნობონ მეცადინეობის ადგილი და დრო;

ბ) დაესწრონ მსმენელთა მეცადინეობას მასწავლებელთა მუშაობაზე საჭირო კონტროლისა და მეთოდური დახმარების განხორციელების მიზნით;

გ) მსმენელთა მიერ მეცადინეობის არასაპატიო მიზეზით გაცდენის აღმოსაფხვრელად მიიღონ სათანადო ზომები.

19. პროგრამით გათვალისწინებული კურსის დამთავრების შემდეგ 24-დან 31 მაისამდე ტარდება გამოცდები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1964 წლის 16 დეკემბრის დამტკიცებული ინსტრუქციის „წერა-კითხვის უცოდინარ და მცირემცოდნე მოქალაქეთა გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების ჩატარების შესახებ"—საფუძველზე (იხ. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული № 9—10, 1964 წ.).



ეროვნული ბიბლიოთეკა

**შენიშვნა:** წერა-კითხვის უცოდინარები და მცირემცოდნეები, რომლებიც აგრეთვე რუსულ ენას სწავლობენ, გამოცდას აბარებენ ამ საგანში (წერითსა და ზეპირს).

20. რუსული ენის შემსწავლელი წვევამდელები და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდები გამოცდას აბარებენ მხოლოდ რუსულ ენაში (წერითსა და ზეპირს).

21. პროგრამული მასალის ათვისებისა და მეცადინეობის დამთავრების შემდეგ მსმენელებზე გაიცემა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სათანადო ნიმუშის ცნობა (იხ. ზემოაღნიშნული კრებული № 9—10, 1964 წ.).

22. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ყოველი წლის იანვარსა და ივლისში უდგენენ ანგარიშს წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდების სწავლების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ.

დანართი—სასწავლო გეგმა.

საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების
სამმართველოს უფროსი **ვ. ჩინჩალაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სასწავლო გეგმა

**წერა-კითხვის უცოდინარი, მცირემცოდნე და რუსული ენის არმცოდნე ან სუსტადმცოდნე წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდებისათვის (1969—1970 სასწავლო წელი)**

| ჯგუფი | საგანი | კვირეული საათების რაოდენობა | | წლიური საათების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| | | I ნახევარი წელი | II ნახევარი წელი | |
| წერა-კითხვის უცოდინარი | 1. მშობლიური ენა | 6 | 5 | 200 |
| | 2. არითმეტიკა . . | 3 | 4 | 130 |
| | სულ . . . . . . | | | 330 |
| მცირე-მცოდნე | 1. მშობლიური ენა . | 5 | 3 | 145 |
| | 2. არითმეტიკა . . . | 4 | 3 | 125 |
| | 3. გეოგრაფია . . . | — | 3 | 60 |
| | სულ . . . . . | | | 330 |
| | 1. რუსული ენა . . . | 7 | 7 | 120 |
| | სულ . . . . . | | | 450 |
| რუსული ენის შემსწავლელი | 1. რუსული ენა . . | 7 | 7 | 250 |

**შენიშვნა:** 1. წერა-კითხვის უცოდინარი და მცირემცოდნე წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდები, რომლებმაც არ

იციან რუსული ენა, სწავლობენ რუსულ ენას, რომელსაც ეთმობა კვირაში 3 საათი, წლის მანძილზე—120 საათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სწავლების ვადა 9 თვე. ჯგუფური მეცადინეობა ტარდება კვირაში სამ დღეს, სამი საათის ხანგრძლივობით.

3. ინდივიდუალური სწავლებისას შესაძლებელია საპროგრამო მასალის გავლას დაეთმოს მცირე დრო.

საგეგმო-საფინანსო სამმართველოს
უ ფ რ ო ს ი
ა. კვაჭაძე

საღამოსა და დაუსწრებელი
სკოლების სამმართველოს
უფროსი ვ. ჩინჩალაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წ. 21 აგვისტოს ბრძანება № 466

### 1969—1970 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების მზადების მიმდინარეობის შესახებ

აღვნიშნავ, რომ რესპუბლიკის ქალაქების, რაიონების განათლების ორგანოები, სკოლები და სხვა საბავშვო დაწესებულებები ახალი, 1969—1970 სასწავლო წლისათვის მზადებას დროულად შეუდგნენ. წარმოება-დაწესებულებები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დიდ მზრუნველობას იჩენენ სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების ახალი სასწავლო წლისათვის მოსამზადებლად; დიდი აღმავლობით მიმდინარეობს სასწავლო ბაზებისა და საბავშვო დაწესებულებების სარემონტო და კეთილმოწყობის სამუშაოები.

ფართოდაა გაშლილი აგრეთვე საინიციატივო სასკოლო მშენებლობა. მიმდინარე წელს უნდა აიგოს 69 სასკოლო შენობა 13.100 მოსწავლე ადგილზე. რესპუბლიკის სკოლები ძირითადად უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრებით, რომელთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება.

გაუმჯობესდა სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემის საქმე, მიმდინარე წლის პირველ სექტემბრამდე გეგმით გათვალისწინებულ 127 დასახელების სახელმძღვანელოდან პირველ აგვისტოსათვის გამოცემული იყო 124 დასახელების სახელმძღვანელო 4.500 ათასი ტირაჟით. პირველ სექტემბრამდე გამოცემული იქნება ორი დასახელების სახელმძღვანელო, ხოლო ქართული ენის სახელმძღვანელოს II ნაწილი გამოიცემა 1970 წლის 1 იანვრისათვის.

შეგროვებული იქნა ნახმარი სტაბილური სახელმძღვანელოები. წელს სკოლები დროულად მიიღებენ სასწავლო პროგრამებსაც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის სკოლებს დაზუსტებული აქვთ პირველ კლასებში ჩასარიცხ ბავშვთა კონტინგენტი, სოფლის სკოლების პირველ კლასებში ჩასარიცხ ბავშვებთან მოსამზადებელი მეცადინეობა ნორმალურად ჩატარდა. აღრიცხულია წინა წლებში სწავლას ჩამოცილებული 7—15 წლის ასაკის ბავშვები და მოზარდები, რომლებიც ახალი სასწავლო წლიდან უნდა დაუბრუნდნენ სკოლებს.

1969—1970 სასწავლო წლისათვის მზადება წარმატებით მიმდინარეობს ქ. თბილისში, ქ. ქუთაისში, წულუკიძის, გურჯაანის, ბორჯომის, ცხაკაიას, თელავის, მაიაკოვსკის, ზუგდიდის, ხობის, მახარაძისა და სხვა რაიონებში, მაგრამ ბევრგან ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში ადგილი აქვს დიდ ჩამორჩენას, რაც საფრთხის ქვეშ აყენებს ახალი სასწავლო წლის ნორმალურად დაწყების საქმეს.

1969 წელს ექსპლოატაციაში გასაშვები ობიექტების მშენებლობაზე პირველი ივლისისათვის 6 თვის გეგმა შესრულებულია 72%, მათ შორის სკოლების მშენებლობაზე 74%-ით, საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობაზე 50%, ხოლო საბინაო მშენებლობაზე 68%-ით. ნელი ტემპით მიმდინარეობს სკოლების მშენებლობა ქობულეთის, ბათუმის, სოხუმის, ჩხოროწყუს, ასპინძის, ყვარლის, ვანის, დმანისის, ორჯონიკიძის, ხულოს და სხვა ქალაქებსა და რაიონებში.

დიდია სკოლებიდან გასულ მოსწავლეთა რაოდენობა, რომელთაგან საგრძნობი ნაწილი არსად არ სწავლობს. სკოლიდან მოსწავლეთა განთესვის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად კვლავ რჩება მეორეწლიანობა. 1968—1969 სასწავლო წლის შედეგების მიხედვით გაზაფხულზე იმავე კლასებში დატოვებულია მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 3,6%.

რიგი გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, რესპუბლიკის სკოლებში მეორე ცვლაში მეცადინეობს 215.658 მოსწავლე. ხოლო მესამე ცვლაში—3.266 მეორეცვლიანობა განსაკუთრებით დიდია ქალაქებში—რუსთავში, თბილისში და გორში. სკოლების გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ ავარიულ ან შეუფერებელ შენობაში მოთავსებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1969—1970 სასწავლო წლისათვის სკოლების და საბავშვო დაწესებულებების წარმატებით მომზადების უზრუნველსაყოფად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მაქსიმალურად გამოიყენონ დარჩენილი დრო და უზრუნველყონ 1969—1970 სასწავლო წლისათვის სკოლების და საბავშვო დაწესებულებების სათანადოდ მომზადება;

ბ) ყოველმხრივ ხელი შეუწყონ კოლმეურნეობათა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თაოსნობას ახალი სასკოლო შენობების მშენებლობის და არსებულ სასკოლო შენობებზე საკლასო ოთახების მიშენების სამუშაოების ფართოდ გაშლაში;

გ) დადგენილ ვადებში მოამარაგონ სკოლები და საბავშვო დაწესებულებები ზამთრისათვის საჭირო სათბობით;

დ) ყველა ზომა მიიღონ, რათა რაიონებში დროულად შეზიდონ სკოლებისათვის განკუთვნილი ყველა დასახელების სახელმძღვანელო, რვეულები, თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღები, რეაქტივები და სხვა სასწავლო ნივთები;

ე) განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის გასატარებლად და მოამზადონ ნიადაგი საშუალო საყოველთაო განათლებაზე გადასასვლელად. ზუსტად აღრიცხონ შვიდი წლის და სკოლისგარეთ დარჩენილი სასკოლო ასაკის ბავშვები და გადამჭრელი ზომები მიიღონ მათი სწავლებაში ჩაბმისათვის.

ვ) იზრუნონ ახალი სასწავლო წლისათვის სკოლებში სასადილოების და ბუფეტების გახსნისათვის და ადგილობრივ სავაჭრო ორგანიზაციებთან ერთად ბუფეტებისა და სასადილოების მაღალხარისხოვანი პროდუქტებით მომარაგებისათვის, მიიღონ ზომები მოსწავლეთა კვებით მომსახურებაში პროგრესული მეთოდების დასანერგავად (აბონემენტი, უგამყიდველო ვაჭრობა, მშობელთა მორიგეობა და სხვა).

2. საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ (ვ. ჩინჩალაძე) ყოველდღიური კონტროლი დააწესოს საღამოს (ცვლის) სკოლების სახალხო სამეურნეო გეგმით გათვალისწინებული ქსელისა და კონტინგენტის შესრულებაზე.

3. მეთოდურმა (ვ. ცაავა) და სახელმძღვანელოების (ტ. ტყეშელაძე) განყოფილებებმა დადგენილ ვადებში უზრუნველყონ ყველა სახის სახელმძღვანელოს, მეთოდური მითითების, პროგრამების დაბეჭდვა და ადგილებზე დროულად დაგზავნა.

4. კადრების განყოფილებამ (ამხ. ი. კვაჭაძემ) საჭირო კონტროლი განახორციელოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განკარგულებაში გადმოცემული უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილებასა და ადგილებზე გამოცხადებაზე; უზრუნველყოს ვაკანტურ ადგილებზე სპეციალისტთა დროული დანიშვნა და დახელოვნების ინსტიტუტთან ერთად იზრუნოს მათ მეთოდურ დახელოვნებაზე.

5. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (მ. ანჯაფარიძე):

ა) გააძლიეროს კონტროლი სასკოლო ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობაზე, გადამჭრელი ზომები მიიღოს 1969 წლის 1 სექტემბრამდე ექსპლოატაციაში გადასაცემი ობიექტების დროულად დამთავრებისათვის, გამოავლინოს ჩამორჩენის მიზეზები და მიიღოს ზომები მათ გამოსასწორებლად;

ბ) არ შეიტანოს მომავალი წლის კაპიტალური მშენებლობის გეგმაში სასკოლო და საბავშვო დაწესებულებათა ისეთი ობიექტები, რომლებიც დადგენილი დროისათვის არ იქნებიან უზრუნველყოფილი დამტკიცებული ტექნიკური დოკუმენტაციითა და თავისუფალი მიწის ნაკვეთით; ამ მიზნით მ/წლის მე-4 კვარტალში შეამოწმოს მშენებლობის სატიტულო სიაში შეტანილი სასკოლო ობიექტების ტექდოკუმენტაციითა და მიწის ნაკვეთებით უზრუნველყოფის საკითხი; აღკვეთოს სკოლების და საბავშვო დაწესებულების მშენებლობის ლიმიტებიდან ტერიტორიის ათვისების, ნაგებობების აღებისა და გარე საინჟინერო კომუნიკაციების მოწყობის სამუშაოების ხარჯების გაღება;

გ) მკაცრი კონტროლი გაუწიოს სასკოლო და საბავშვო დაწესებულებების ობიექტების ხარისხს და საექსპლოატაციოდ არ მიიღოს არაკომპლექსურად დამთავრებული, დეფექტების მქონე შენობები.

6. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ა. კვაჭაძე) სისტემატური კონტროლი და ხელმძღვანელობა გაუწიოს განათლევის ადგილობრივ ორგანოებს 1970 წლის სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული სასკოლო ქსელის გაშლის და დატვირთვის საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხედველობაში იქონიოს არსებულ სასკოლო შენობებზე სა-
კლასო ოთახების მიშენებისა და რეკონსტრუქცია-გაფართოების ხარჯზე მცირე დატვირთვის მქონე პარალელური კლასების შეერთება; მიიღოს გადამჭრელი ზომები ახალი სასწავლო წლისათვის გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსებისათვის.

7. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე):

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საჭირო ხელსაწყო-იარაღებითა და თვალსაჩინოებით სკოლების მომარაგების საქმეს; სათანადო საწარმოებმა დროულად მიაწოდონ სკოლებს ხარისხოვანი სასკოლო ინვენტარ-მოწყობილობა, ნივთები და სხვ;

ბ) მიმდინარე წლის 28 აგვისტომდე, პირველ რიგში, მოამარაგოს დგამ-ავეჯითა და ინვენტარ-მოწყობილობით ექსპლოატაციაში ახლად გადაცემული სასკოლო და საბავშვო დაწესებულებები.

8. გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციამ (ნ. შველიძე) სისტემატურად გააშუქოს გაზეთში 1969—1970 სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობა რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1969 წლის 14 აგვისტოს დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. ობოლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წ. 21 აგვისტოს ბრძანება № 469

### მცხეთის, გორის, ტყიბულისა და გარდაბნის რაიონების ზოგიერთ სკოლაში ბიოლოგიის სწავლების შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა მისაქციელის, მუხრანის, წილკანის, ჩარდახის ნიჩბისის, ძველი ქანდის და ზაჰესის (მცხეთის რაიონი); შინდისის, ტყვიავისა და კარალეთის (გორის რაიონი); ქ. ტყიბულის მეოთხე, კურსების და ორპირის (ტყიბულის რაიონი); სამგორის, ვარკეთილის და გლდანის (გარდაბნის რაიონი) სკოლებში ბიოლოგიის სწავლების შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ დასახელებული რაიონების განათლების განყოფილებები და შემოწმებული სკოლების ერთი ნაწილი გარკვეულ მუშაობას ეწევა სასწავლო-საცდელი ნაკვეთებით სკოლების უზრუნველყოფის, კაბინეტების მოწყობისა და ბიოლოგიის სწავლების გაუმჯობესებისათვის.

კარგად მუშაობენ მასწავლებლები: შ. შაფთოშვილი (გორის რაიონი, კარალეთის საშ. სკოლა), მ. ბუთხუზი (მცხეთის რაიონი, მუხრანის პირველი საშ. სკოლა), ნ. ლ. ადიკაშვილი (გარდაბნის რაიონი, სამგორის საშ. სკოლა), ნ. გიგუაშვილი (გორის რაიონი, ტყვიავის საშ. სკოლა), ლ. ლომთაძე და ს. ბუხაიძე (ტყიბულის მე-6 საშ. სკოლა), ისინი დამაკმაყოფილებლად ფლობენ საგანს, სისტემატურად ეცნობიან ბიოლოგიაში უახლეს მიღწევებს, გულმოდგინედ ემზადებიან ყოველი გაკვეთილისათვის და მოსწავლეებს აძლევენ ბიოლოგიური მეცნიერების საფუძვლების მტკიცე ცოდნას, უვითარებენ მათ პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევებს.

სკოლების სასწავლო-საცდელი ნაკვეთებით უზრუნველყოფის, ბიოლოგიის კაბინეტების შევსებისა და სასათბურო მეურნეობების მოწყობისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება მცხეთის რ-ში. 1968—69 სასწავლო წელს საცდელი ნაკვეთი გამოეყო ერთ რვაწლიან და 14 დაწყებით სკოლას, 1969—1970 სასწავლო წლი-

სათვის ნაკვეთით უზრუნველყოფილი იქნება მცხეთის რ-ის ყველა სკოლა. კაბინეტებისათვის თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებისა და მოწყობილობათა შესაძენად სახელმწიფო ბიუჯეტის დამატებით ადგილობრივი შემოსავლებიდან დასახელებულ რაიონში გამოყოფილია 30.000 მანეთი.

მიუხედავად აღნიშნულისა, გარდაბნის, ტყიბულის, გორისა და მცხეთის რაიონების შემოწმებული სკოლების ერთ ნაწილში ცუდად ისწავლება ბიოლოგია, არადამაკმაყოფილებელია სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ზრუნვა სასწავლო-საცდელი ნაკვეთების კეთილმოწყობის, კაბინეტების შევსების და სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის.

ზოგადი ბიოლოგია არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ქ. ტყიბულის მე-4 და ტყიბულის რ-ის სოფ. კურსების (მასწავლებლები ქ. რუბაშვილი და პ. სვანიძე); გორის რ-ის შინდისის მასწავლებელი ქ. სიმონიშვილი), გარდაბნის რ-ნის გლდანის (მასწავლებელი ვ. ა. შუბლაძე) და მცხეთის რ-ის ჩარდახის (მასწავლებელი ვ. ვალიშვილი) საშუალო სკოლების X კლასებში. მოსწავლეებმა არ იციან რა არის ფენოტიპი, გენოტიპი, გენი, წარმოდგენა არა აქვთ კ. ლინეისა ჟ. ლამარკის მოძღვრებაზე, უჯრედის სტრუქტურულ კომპონენტებზე, მეთოდურ გადარჩევაზე და სხვ.

ტყიბულის რაიონის კურსების (მასწავლებელი ს. სვანიძე) და გორის რ-ის შინდისის საშ. (მასწ. ქ. სიმონიშვილი) სკოლების VIII კლასის მოსწავლეები ვერ განმარტავენ ნერვული სისტემის აგებულებას და ფუნქციებს, არა აქვთ მტკიცე ცოდნა სისხლის მიმოქცევის დიდ და მცირე წრეზე. მასწავლებლები დიდ დროს უთმობენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ გამოკითხვას, არ გამოყოფენ ერთმანეთისაგან გაკვეთილის თემის ძირითად და დამხმარე საკითხებს, კმაყოფილდებიან სახელმძღვანელოს მიხედვით გაკვეთილის მასალის შემოკლებულად თხრობით, მასწავლებელმა აპ. სვანიძემ (ტყიბულის რ-ნი, კურსების საშ. სკოლა) X კლასში თემა „ორგანიზმი და გარემო", რომელსაც პროგრამით 6 საათი აქვს დათმობილი და საშუალო სკოლის ბიოლოგიის კურსის დასკვნითი ნაწილია, რამდენიმე წუთში „ახსნა", ხოლო მასწავლებელმა ა. შუბლაძემ (გარდაბნის რ-ნის გლდანის საშუალო სკოლა) X კლასში სრულად არ ახსნა მასალა, პროგრამას კი 9 საათით ჩამორჩება.

ზოგიერთი მასწავლებლის მიერ საპროგრამო მასალა არ იგეგმება სასწავლო წლის მეოთხედების მიხედვით, ამასთან არასწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად ნაწილდება საათები შესასწავლ თემებზე. მაგალითად, გარდაბნის რ-ის გლდანის საშ. სკოლის X კლასში სელექციის საკითხის შესწავლას ნაცვლად 4 საათისა, ერთი საათი აქვს დათმობილი. მცხეთის რ.-ის ჩარდახის საშუალო სკოლაში ზოგადი ბიოლოგიის კურსის გავლა 5—6 საათით ჩამორჩება.

ზოგიერთი სკოლის პარალელურ კლასებში არასწორად ნაწილდება საათები ბიოლოგიის მასწავლებლთა შორის. მაგალითად, წილკნის საშ. სკოლის V, VI და VII კლასებში ბიოლოგიის გაკვეთილები მიცემული აქვს ერთ მასწავლებელს, პარალელურ კლასებში კი მეორეს, რის გამოც მასწავლებლებს ერთი და იგივე თემისათვის ცალ ცალკე უხდებათ თვალსაჩინოებისათვის მასალების მომზადება, საცდელი მუშაობის თემატიკის შერჩევა და სხვა. ძნელდება კაბინეტის სასწავლო-საცდელი ნაკვეთის და სათბურების გამოყენება.

შემოწმებულ სკოლებში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული მეთოდური მუშაობა; ფორმალურად არის შედგენილი სამუშაო გეგმები, სხდომებზე განხილული არ არის ზოგადი ბიოლოგიის სწავლებასთან დაკავშირებულ სიახლეთა, მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების განზოგადების, თვალსაჩინო მასალების დემონსტრაციისა და ლაბორატორიული მეცადინეობის წარმოების საკითხები.

ზოგიერთ სკოლას არა აქვს ბიოლოგიის კაბინეტი და ცოცხალი ბუნების კუთხე. თითქმის არც ერთ სკოლაში არ ტარდება პროგრამით გათვალისწინებული ყველა ცდა და პრაქტიკული სამუშაო. კაბინეტის გამგეებს არ აქვთ ხელსაწყოების და მასალების ზუსტი აღრიცხვა, მატერიალურად პასუხისმგებელი პირები არ უვლიან სასწავლო ინვენტარს; ყურადღება არ ექცევა თვითნაკეთი ხელსაწყოების, სქემების, ტაბულების, ჰერბარიუმების, სველი პრეპარატების, კოლექციების, ფიტულების და სხვათა დამზადების საქმეს.

ზოგიერთი რაიონის განათლების განყოფილება ნაკლებად ზრუნავს სკოლებისათვის სასწავლო-საცდელი ნაკვეთების გამოყოფისათვის, მაგალითად, გარდაბნის რ-ის 69 სკოლიდან ნაკვეთი არ აქვს ვარკეთილის საშუალო, დიღმის რვაწლიან და 15 დაწყებით სკოლას.

შემოწმებული რაიონების სკოლების უმრავლესობას აქვს სასწავლო-საცდელი ნაკვეთი, მაგრამ არა აქვთ ნაკვეთზე ჩასატარე-

ბელი ცდების თემატიკა, არ ტარდება ნაკვეთზე პროგრამით გათვალისწინებული ცდები და პრაქტიკული სამუშაოები, არ ეწყობა ჩატარებული მუშაობის შედეგების შეჯამება. ტყიბულის IV და გარდაბნის რაიონის გლდანის საშუალო სკოლების ნაკვეთები შეუღობავია და მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს სასწავლო-საცდელი მუშაობის მოთხოვნებს.

სკოლებში ყურადღება არ ექცევა ნაკვეთზე ზოოლოგიის განყოფილებისა და სათბურების მოწყობას. შემოწმებული 16 სკოლიდან სასათბურო მეურნეობა მოწყობილი აქვს მხოლოდ ერთ სკოლას არაორგანიზებულად ეწყობა მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების მუშაობა, როგორც სკოლის ნაკვეთებზე, ისე მეურნეობებში.

ბიოლოგიის ზოგიერთი მასწავლებელი და სკოლის დირექცია არ ატარებენ საკონტროლო წერებს ბიოლოგიაში, რომლებიც გათვალისწინებულია განათლების სამინისტროს 1969 წლის 2 იანვრის საინსტრუქციო წერილით. არადამაკმაყოფილებელია მოსწავლეების მიერ შესრულებული წერითი სამუშაოები. ძველი ქანდის საშუალო სკოლის ზოგიერთ კლასში III და IV მეოთხედებში ნაცვლად ოთხი წერისა, ჩატარებულია თითო წერა. ძველი ქანდის საშუალო სკოლის VIII კლასში ჩატარებული წერის შედეგად 19 მოსწავლიდან არადამაკმაყოფილებელი ნიშანი მიიღო 11 მოსწავლემ, ანალოგიური მდგომარეობაა ზაჰესის რვაწლიან სკოლაში.

ბევრ სკოლაში ფორმალურ ხასიათს ატარებს ნორჩ ნატურალისტთა წრეების მუშაობა; წრეები მხოლოდ V—VI კლასების მოსწავლეებით კომპლექტდება, ხოლო ზედა კლასების მოსწავლეები წრეების საქმიანობაში იშვიათად მონაწილეობენ. წრეების სამუშაო გეგმაში შეტანილი არ არის საცდელი მუშაობის ამსახველი საკითხები; მათი საქმიანობა საპროგრამო მასალის მიხედვით წაკითხული ორიოდე მოხსენებით ან ნაკვეთზე ფიზიკური მუშაობით ამოიწურება. ნორჩ ნატურალისტთა მუშაობა სრულიად თავმინებებულია გარდაბნის რ-ის გლდანის საშუალო სკოლაში.

სკოლებში არ არის დანერგილი მოსწავლეების მიერ ბიოლოგიის ტერმინების ჩანაწერების, ჩანახატების, სქემებისა და ალბომების წარმოების პრაქტიკა. იშვიათად ეწყობა მოსწავლეების მიერ შესრულებული ნამუშევრების გამოფენა, არადამაკმაყოფილებელია სკოლების მონაწილეობა კონკურსში „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკლოვანებანი, რომლებიც ბიოლოგიის სწავლების შემოწმების შედეგად გამოვლინდა, იმით არის გამოწვეული, რომ სკოლის დირექტორები და დირექტორის მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში არადამაკმაყოფილებელ ხელმძღვანელობას და დახმარებას ახორციელებენ ბიოლოგიის მასწავლებელთა მუშაობაზე. 1968—1969 სასწავლო წლის მანძილზე ბიოლოგიის ერთი გაკვეთილი აქვთ მოსმენილი ნ. მასხარაშვილს (ტყიბულის რ-ის სოფ. კურსების საშ. სკოლის დირექტორი), 3 გაკვეთილი—მ. რამიშვილს (მცხეთის რ-ის მუხრანის საშ. სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში), სრულიად არ მოუსმენია ბიოლოგიის გაკვეთილები შ. ჭირაქაძეს (ტყიბულის რ-ნი, კურსების საშ. სკოლა) და ო. უფლისაშვილს (მცხეთის რ-ნი, ძველი ქანდის საშ. სკოლა):

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

I. ბიოლოგიის მასწავლებლებმა:

1. სისტემატურად იზრუნონ თავიანთი თეორიული მომზადების დონის ამაღლებისა და პედაგოგიური დახელოვნებისათვის. VI—VIII კლასებში ყურადღება გაამახვილონ იმ თემებზე, რომლებიც ზოგადი ბიოლოგიის სწავლებასთან არის დაკავშირებული.

2. აამაღლონ გაკვეთილის ხარისხი, უზრუნველჰყონ საპროგრამო მასალის საფუძვლიანად დამუშავება, რაციონალურად გამოიყენონ გაკვეთილისათვის განკუთვნილი დრო.

3. არ დაუშვან პროგრამით გათვალისწინებული თემებისათვის განკუთვნილი საათების თვითნებურად შემცირება ან გადიდება. აამაღლონ მოსწავლეთა თეორიული და პრაქტიკული მომზადების დონე, აღკვეთონ ლიბერალიზმი მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში.

4. იზრუნონ ბიოლოგიის კაბინეტების შევსებისათვის: მოაწესრიგონ ხელსაწყოებისა და თვალსაჩინო მასალების მოვლა-პატრონობა, მათი დაცვა.

5. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საშინაო დავალებათა დოზირებისა და მისი შემოწმების სწორ ორგანიზაციას.

6. დანიშნულებისამებრ გამოიყენონ სასწავლო-საცდელი ნაკვეთები, უზრუნველყონ ნაკვეთზე ჩატარებული ცდებისა და პრაქტიკული სამუშაოების აღრიცხვა და შედეგების განზოგადება.

7. გააძლიერონ ნორჩ ნატურალისტთა წრეების მუშაობაზე დააწესონ კონტროლი დღიურების წარმოებაზე, პრაქტიკული მუშაობის შედეგების შეჯამებასა და ალბომების შედგენაზე. ნატურალისტურ მუშაობაში ჩააბან უფროსი კლასების მოსწავლეები.

II. სკოლის დირექტორებმა:

1. საფუძვლიანად შეისწავლონ სკოლაში ბიოლოგიის სწავლების მდგომარეობა, გამოავლინონ ამ საგნის სწავლებაში არსებული ნაკლოვანებანი და საკითხი განიხილონ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, დასახონ და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

2. სკოლები უზრუნველყონ კეთილმოწყობილი კაბინეტებით. კონტროლი დააწესონ ბიოლოგიის სწავლებისათვის საჭირო ხელსაწყოებისა და მასალების ინვენტარიზაციაზე და დაცვაზე. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ზოგადი ბიოლოგიის სწავლებისათვის საჭირო თვალსაჩინო მასალის შეძენას და თვითნაკეთი ხელსაწყოების დამზადებას, სწავლებაში მათ ეფექტურად გამოყენებას.

3. აღკვეთონ ფორმალიზმი ნორჩ ნატურალისტთა წრეების მუშაობაში; გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი მათ საქმიანობაზე.

4. ბიბლიოთეკები შეავსონ ბიოლოგიაში არსებული მეთოდური ლიტერატურით და დამხმარე სახელმძღვანელოებით.

5. გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი ბიოლოგიის მასწავლებელთა სასკოლო მეთოდგაერთიანებების მუშაობაზე.

6. მტკიცე კავშირი დაამყარონ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სპეციალისტებთან. გამოიყენონ მათი მდიდარი გამოცდილება ექსპერიმენტული და საცდელი პრაქტიკული მუშაობისათვის.

III. განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

1. განათლების განყოფილებისა და პედაგოგიური კაბინეტის სამუშაო გეგმებში პერიოდულად შეიტანონ რაიონის სკოლებში ბიოლოგიის სწავლების მდგომარეობის შემოწმების საკითხი; მეტი დახმარება და კონტროლი გაუწიონ ზოგადი ბიოლოგიის მასწავლებელს.

2. გააუმჯობესონ პედაგოგიური კაბინეტების მუშაობა, ყოველ რაიონში მოაწყონ 1—2 სკოლა, რომლებსაც ექნებათ ბიოლოგიის სწავლებისათვის ყველა საჭირო პირობა და გამოყენებულნი იქნებიან მასწავლებელთა პედაგოგიური დახელოვნების ბაზად.

3. პერიოდულად შეამოწმონ ბიოლოგიის კაბინეტებისა და სასწავლო საცდელი ნაკვეთის სწავლებაში გამოყენების საკითხი. შედეგები განიხილონ სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე და გაატარონ საჭირო ღონისძიებები.

4. 1970 წლის საკურსო ღონისძიებათა გეგმაში გაითვალისწინონ რაიონის ყველა სკოლის ზოგადი ბიოლოგიის მასწავლებელთა გადამზადება.

IV. გარდაბნის რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე ა. ერთელიშვილი) უახლოეს დროში უზრუნველყოს სასწავლო-საცდელი ნაკვეთებით რაიონის ყველა სკოლა.

V. სკოლების სამმართველომ (ა. ჩხიკვაძე) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობას.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. ობოლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წ. 4 სექტემბრის ბრძანება № 498

### 1969 წლის ზამთრის პერიოდში რესპუბლიკის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებათა მუშაობის შედეგებისა და შემდგომში, ზამთრის პერიოდისათვის ამ ობიექტების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ

1969 წლის იანვარ-თებერვლის ძლიერმა ქარიშხალმა, დიდმა თოვლმა და ყინვებმა სერიოზული ზიანი მიაყენეს რესპუბლიკის ზოგიერთი სკოლის, სკოლა-ინტერნატისა და საბავშვო დაწესებულების შენობებს.

ქ. თბილისის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ბორჯომის, დმანისის, ხაშურისა და ზოგიერთ სხვა რაიონში ყინვისაგან დაზიანდა გათბობის ქვაბები, დასკდა შიდა მილგაყვანილობა და რადიატორები.

მძიმე მდგომარეობა შეიქმნა სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო დაწესებულებებში წყლის, ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზისა და სათბობის მიწოდების შეფერხების გამო.

ამასთან დადასტურებულია ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში სკოლები, სკოლა-ინტერნატები და სხვა დაწესებულებათა ხელმძღვანელები გამოყოფილი სათბობისა და საწვავი მასალების შენახვის საქმეს ყურადღებას არ აქცევენ. ისეთი შემთხვევებიც იყო, როცა მიღებულ ქვანახშირსა და შეშას ჩვენი უწყების დაწესებულებანი გადასცემდნენ სხვა სისტემის ორგანიზაციებს, საწვავის უხარისხობის მოტივით, რაც მძიმე მდგომარეობაში აყენებდა დაწესებულების გათბობის საქმეს.

გასულ წელს ადგილებზე არადამაკმაყოფილებლად სრულდებოდა აგრეთვე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს 1967 წლის 30 დეკემბრის ერთობლივი ბრძანება „სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში და სახალხო განათლების სხვა სასწავლო-აღ-

მზრდელობით დაწესებულებებში ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რის გამოც 1969 წლის მარტო 2 თვის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ხანძრის გაჩენის შემთხვევებს ქ. ქ. თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდში, ბოლნისსა და ონის რაიონებში.

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1969 წლის 31 ივლისის ცირკულარული წერილის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა:

ა) ადგილობრივი კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად 1969 წლის 20 სექტემბრამდე შეისწავლონ სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების ზამთრის პერიოდისათვის მზადყოფნის მდგომარეობა და საკითხი განსახილველად შეიტანონ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების საბჭოების აღმასკომების სხდომებზე;

ბ) ქმედითი ღონისძიებანი განახორციელონ ყინვისაგან დაზიანებული გათბობის ქვაბების, დამსკდარი შიდა მილგაყვანილობისა და რადიატორების შესაკეთებლად;

გ) დროულად უზრუნველყონ სკოლები, სკოლა-ინტერნატები, საბავშვო დაწესებულებები და სოფლად მომუშავე მასწავლებელთა ოჯახები ზამთრის სეზონისათვის საჭირო სათბობით და საწვავით; არ დაუშვან სათბობ-საწვავისა და ელექტროენერგიის გადამეტებითი, უყაირათოდ ხარჯვა, კატეგორიულად აკრძალონ მიღებული სათბობის სხვა ორგანიზაციებზე გადაცემა;

დ) ზამთრის სეზონისათვის მზადებისა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარების საქმეში მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს 1967 წლის 30 დეკემბრის № 147/553 ერთობლივი ბრძანებით;

ე) აღნიშნული ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ 1969 წლის 15 ოქტომბრამდე მოახსენონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

2. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძემ) მიიღოს საჭირო ზომები საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ ზამთრის სეზონისათვის გამოყოფილი სათბობის დროულად განაწილებისათვის.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ მტკიცე კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

4. ეს ბრძანება განსახილველად და შესაბამის ღონისძიებათა განხორციელების მიზნით დაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უ'შ. ობოლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის 1969 წლის 5 სექტემბრის ბრძანება № 499/122

### რესპუბლიკის ზოგიერთი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის IX—X კლასებში 1970 წლის 1 სექტემბრიდან დაწყებითი სამხედრო მომზადების შემოღების შესახებ

ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესასრულებლად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ თ:

1. შემოღებულ იქნეს დაწყებითი სამხედრო მომზადება 1970 წლის 1 სექტემბრიდან რესპუბლიკის 140 საშუალო სკოლის IX—X კლასების მოსწავლე ვაჟებთან და გოგონებთან (იხ. დანართი № 1).

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა და სამხედრო კომისრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებათა გამგეებმა და სამხედრო კომისრებმა:

ა) 1969 წლის 15 ოქტომბრამდე შეარჩიონ მრავალკომპლექტიანი საშუალო სკოლები, რომლებშიც 1970 წლის 1 სექტემბრისათვის IX—X კლასების რაოდენობა იქნება არანაკლებ ოთხისა (ამჯერად შერჩეულ სკოლებში არ უნდა იყოს ისეთი სკოლა, სადაც გაღრმავებული პროგრამით ისწავლება მათემატიკა, ფიზიკა, უცხოური ენები);

ბ) აღნიშნული სკოლები ყოველმხრივ მოამზადონ იმისათვის, რათა სანიმუშოდ ისწავლებოდეს დაწყებითი სამხედრო მომზადება, რომ ეს სკოლები გახდნენ დადებითი გამოცდილების დასაყრდენ (საბაზო) პუნქტებად რაიონის (ქალაქის) ყველა იმ დანარჩენი სკოლისათვის, რომლებშიც დაწყებითი სამხედრო მომზადება განხორციელდება 1971—72 წლებში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) შერჩეულ სკოლებს (სკოლების დირექტორებთან შეთანხმებით) დაუწესონ სამხედრო-ტექნიკური სპეციალობის ერთ-ერთი პროფილი;

დ) 1969—1970 სასწავლო წლიდან სამხედრო-ტექნიკური მომზადების პროფილები დამტკიცდეს სამხედრო-ტექნიკური მომზადების ყველა სპეციალობაში (ავტომძღოლი, მოტოციკლისტი, რადიოტელეფონისტი, ხომალდის მაშველი ნავის მესაჭე, ელექტრიკოსი, ელექტრორადიომემონტაჟე, რადიოლოკაციური სადგურის ოპერატორი, ოპერატორი-პროგრამისტი, სატელევიზიო აპარატურის ოპერატორი, გამოთვლითი მანქანები და სხვ.);

ე) სამხედრო-ტექნიკური სპეციალობის პროფილის დადგენისას გაითვალისწინონ შრომითი პოლიტექნიკური პრაქტიკუმის შესაბამისობა, სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზა და შეფი ორგანიზაციების შესაძლებლობანი.

4. დაწყებითი სამხედრო მომზადების შემოღებასთან დაკავშირებით საჭირო ცნობები (№ 1 დანართის მიხედვით) გამოგზავნონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატში 1969 წლის 20 ოქტომბრამდე.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის სათანადო განყოფილებებმა (ამხ. ამხ. მ. კინწურაშვილმა და ა. ორახელაშვილმა) ქმედითი დახმარება გაუწიონ სახალხო განათლების ორგანოებსა და სკოლებს დაწყებითი სამხედრო მომზადების ორგანიზაციის საქმეში და გატარებულ ღონისძიებათა შესახებ პერიოდულად მოგვახსენონ.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი
**თ. ლაშქარაშვილი**

საქართველოს სსრ სამხედრო
კომისარი გენერალ-მაიორი
**ვ. მურუხიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წ. 5 სექტემბრის ბრძანება № 500

### რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და რვაწლიანი სკოლების V კლასებში სამოქალაქო თავდაცვის საგნის სწავლების შ ე ს ა ხ ე ბ

§ 1

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მითითება მისცენ სკოლებს, რათა საშუალო და რვაწლიანი სკოლების V კლასების მოსწავლეებთან სამოქალაქო თავდაცვაში მეცადინეობა დაიწყონ 1969 წლის 20 ნოემბრიდან (ე. ი. მას შემდეგ, როცა ზემოაღნიშნული კლასების ყველა ხელმძღვანელი გადამზადებული იქნება სამოქალაქო თავდაცვის სპეციალურ კურსებზე);

ბ) მოქმედი დებულების შესაბამისად (იხ. კრებული, 1967 წ. № 11—12) 1969 წლის 1 ოქტომბრამდე გადაახალისონ განათლების განყოფილებებთან არსებული სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელთა მეთოდური საბჭოები და ადგილობრივ სამოქალაქო თავდაცვის შტაბებთან ერთად წარმართონ მათი მუშაობა.

§ 2

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი სამხედრო მომზადების განყოფილებამ (ამხ. ა. ორახელაშვილმა) დროულად უზრუნველყოს რესპუბლიკის სკოლების სამოქალაქო თავდაცვის პროგრამებით, მეთოდური მასალებით და სისტემატური დახმარება გაუწიოს სკოლებს სამოქალაქო თავდაცვის სწავლების ორგანიზაციის საქმეში.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ცირკულარული წერილი № 327

### 1969 წელი 16 სექტემბერი

აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილების, რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საოლქო, რაიონული და საქალაქო კომიტეტების თავმჯდომარეებს

პენსიების დანიშვნის ახალი წესის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი გაცნობებთ, რომ სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის თაობაზე დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ ზემდგომი ორგანოების დადგენილებით მუშა-მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრებზე პენსიების დანიშვნისათვის საჭირო დოკუმენტების გაფორმებისა და პენსიების დროულად და სწორად დანიშვნის გაადვილების მიზნით პენსიების დანიშვნის წესებში შეტანილია შემდეგი ცვლილებები:

პენსიის დანიშვნისათვის თუ დღემდე მუშაკი უშუალოდ მიმართავდა სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას, ახალი დადგენილების მიხედვით, მიმდინარე წლის 1 ივლისიდან, ყველა მუშაკმა და აგრეთვე მათი ოჯახის წევრებმა, რომელთა მარჩენალი გარდაცვალებამდე მუშაობდა, პენსიის დანიშვნის შესახებ განცხადებით უნდა მიმართონ ადმინისტრაციას სამუშაო ადგილის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადმინისტრაცია, პროფკავშირის ადგილკომთან ერთად, ვალდებულია განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში გააფორმოს პენსიის დანიშვნისათვის ხელფასისა და მუშაობის სტაჟის შესახებ საჭირო საბუთები და შემოსული განცხადება თავის წარდგინებასთან ერთად გადაუგზავნოს სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

იმ შემთხვევაში, როცა ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის აზრით განმცხადებელს არ მოუპოვებია პენსიის დანიშვნის უფლება, მაშინ ისინი ვალდებულნი არიან ამის შესახებ წერილობით აცნობონ განმცხადებელს და განუმარტონ წარდგინებაზე უარის თქმის მიზეზი; თუ განმცხადებელი არ ეთანხმება ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის გადაწყვეტილებას, მას შეუძლია განცხადებით მიმართოს უშუალოდ რაიონის (ქალაქის) სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სხვა მოქალაქეებმა და აგრეთვე მუშებმა და მოსამსახურეებმა, რომლებმაც მუშაობა ადრე მიატოვეს, აგრეთვე მათი ოჯახის წევრებმა განცხადებით პენსიის დანიშვნის შესახებ უნდა მიმართონ უშუალოდ რაიონის (ქალაქის) სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამ ახალი დადგენილების მიხედვით რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომებთან არსებული პენსიების დამნიშვნელი კომისია ვალდებულია წარდგინების ან განცხადების მიღებიდან 10 დღის განმავლობაში განიხილოს პენსიის დანიშვნის საკითხი და თუ პენსია არ დაენიშნა, მაშინ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებამ 5 დღის ვადაში უნდა აცნობოს დაწესებულების ადმინისტრაციას ან განმცხადებელს პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის მიზეზი, მისი გასაჩივრების წესი და აგრეთვე დაუბრუნოს წარმოდგენილი ყველა საბუთი.

პენსიის დანიშვნის ეს წესი ვრცელდება ყველა სახის პენსიაზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით შემუშავებულია პენსიაზე წარდგინების ორი ფორმა, ეს ფორმები ერთიანია მთელ საბჭოთა კავშირში. ამათგან ერთ-ერთი მოხუცებულობისა და ინვალიდობის პენსიის დასანიშნავადაა განკუთვნილი, ხოლო მეორე მარჩენალის დაკარგვის გამო. ორივე დასახელებული ფორმა და აგრეთვე განცხადების ფორმაც დაბეჭდილია ქართულ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსულ ენებზე და დაეგზავნა ყველა რაიონის (ქალაქის) სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას.

პასუხისმგებლობა პენსიის დასანიშნავად საჭირო სტაჟისა და ხელფასის საბუთების სისწორეზე და აგრეთვე წარდგინებასთან ერთად 10 დღის ვადაში სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში მათ გადაგზავნაზე, ეკისრება პერსონალურად სკოლებისა და სხვა დაწესებულება-ორგანიზაციის ხელმძღვანელს (დირექტორს).

სკოლებისა და სხვა დაწესებულება-ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა უნდა გამოჰყონ თანამდებობის პირი, რომელსაც ბრძანებით დაეკისრება მომუშავეთა და აგრეთვე მათი ოჯახის წევრებისათვის (მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში) პენსიის დასანიშნავად საჭირო დოკუმენტების დროულად და სწორად მომზადებაზე პასუხისმგებლობა.

ყველგან უნდა იქნას შემოღებული იმ მუშაკთა აღრიცხვა, რომლებსაც მომდევნო წლებში უსრულდებათ მოხუცებულობის პენსიის დასანიშნავად საჭირო ასაკი, ამასთან წინასწარ უნდა შემოწმდეს აქვთ თუ არა მათ აუცილებელი საბუთები, რომლებიც ადასტურებენ პენსიის დასანიშნავად საჭირო სტაჟს, და თუ ასეთი არა აქვთ, დაეხმარონ მათ ამ საბუთების გამოთხოვა-შეგროვებაში.

სკოლებისა და სხვა დაწესებულებათა დირექტორებმა (გამგეებმა), პროფკავშირის კომიტეტებთან ერთად, უნდა ჩაატარონ მომუშავეთა შორის ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა პენსიის დანიშვნის ახალი წესის შესახებ, ხოლო განათლების განყოფილებებმა და პროფკავშირის რაიონულმა (საოლქო) კომიტეტებმა რაიონული სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებათა დახმარებით უნდა მოაწყონ თათბირ-სემინარები საპენსიო კანონმდებლობის საფუძვლების შესასწავლად და იმ პირთათვის, რომლებიც სკოლებსა და სხვა დაწესებულებებში გამოყოფილი იქნებიან პენსიის დასანიშნავად წარსადგენი საბუთების მომზადებაზე,

ახალი დადგენილებით, სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებს, გარდა იმისა, რომ უფლება აქვთ მოითხოვონ დაწესებულება-ორგანიზაციებიდან და ცალკეული მოქალაქეებისაგან პენსიის დასანიშნავად საჭირო საბუთები, მათ უფლება ენიჭებათ აგრეთვე შეამოწმონ ამ საბუთების გაცემის საფუძვლიანობა.

ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროებს, ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებს

პროფკავშირის საოლქო, რაიონულ და საქალაქო კომიტეტებთან ერთად, ევალებათ სისტემატური ხელმძღვანელობა და კონტროლი გაუწიონ დაქვემდებარებულ სკოლებსა და სხვა დაწესებულებებს მომუშავეთა და მათი ოჯახის წევრებისათვის (მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში) პენსიის დასანიშნავად საჭირო საბუთების მომზადების, წარდგენების გაფორმებისა და სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებაში დაწესებულ ვადებში მათი გადაგზავნის საქმეზე.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი
**თ. ლაშქარაშვილი**

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის
თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე
**დ. იოსელიანი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიის ერთობლივი

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

1969 წლის 25 აპრილი

### სასკოლო სპორტული ბაზების მშენებლობის რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსის ჩატარების შესახებ

„სასკოლო სპორტული ბაზების მშენებლობის საკავშირო დათვალიერება-კონკურსის ჩატარების შესახებ" სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიის 1969 წლის 23 იანვრის გაერთიანებული დადგენილების თანახმად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგია ადგენენ:

1. 1969 წლის 1 მარტიდან 1970 წლის 1 ოქტომბრამდე ჩატარდეს სასკოლო სპორტული ბაზების მშენებლობის რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსი.

2. დამტკიცდეს საკუთარი ძალებით სასკოლო სპორტული ბაზების მშენებლობის რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსის დებულება (თან ერთვის).

3. დაევალოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებებს, კომკავშირის საოლქო, საქალაქო და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაიონულ კომიტეტებს, შესაბამის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტებს გაატარონ სათანადო ღონისძიებანი სასკოლო სპორტული ბაზების მშენებლობის საკითხზე დათვალიერება-კონკურსის ორგანიზებულად ჩატარებისათვის.

4. დამტკიცდეს რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსის კომისია შემდეგი შემადგენლობით (სია თან ერთვის).

საქართველოს სსრ განათლების<br>მ ი ნ ი ს ტ რ ი<br>თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს ალკკ<br>ცენტრალური კომიტეტის<br>მ დ ი ვ ა ნ ი<br>რ. მეტრეველი

საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბ-<br>ჭოსთან არსებული<br>ფიზიკური კულტუ-<br>რისა და სპორტის<br>კომიტეტის<br>თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე<br>გ. სიხარულიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| დამტკიცებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ | დამტკიცებულია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიერ | დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიის მიერ |

# სასკოლო სპორტული ბაზების საკუთარი ძალებით მშენებლობის რესპუბლიკური კონკურს-დათვალიერების

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### მიზანი და ამოცანები

რესპუბლიკური კონკურს-დათვალიერების ჩატარება მიზნად ისახავს:

—სასკოლო სპორტული ბაზების შემდგომ განმტკიცებას;

—სკოლებთან საკუთარი ძალებით სპორტულ ნაგებობათა მშენებლობის სტიმულირებასა და ამ ღონისძიებაში წარმოებების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და დაწესებულებების ყოველგვარი დახმარების გაწევას;

—სასკოლო სპორტული ბაზების განმტკიცებისა და კეთილმოწყობის მოწინავე გამოცდილების განზოგადებას.

### დათვალიერება-კონკურსის ჩატარების პირობები

რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსი ტარდება 1969 წ. წლის 1 მარტიდან 1970 წლის 1 ოქტომბრამდე ჩათვლით.

აღნიშნულ დათვალიერება-კონკურსში მონაწილეობენ რესპუბლიკის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფიზიკური კულტურის კოლექტივები, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებულთა გამოსავლენ-ლად მხედველობაში იქნება მიღებული შემდეგი მონაცემები:

1. სკოლებში გაშენებული სპორტული ნაგებობანი სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიის მიერ დამტკიცებული სიის მიხედვით.

2. გაშენებულ სპორტულ ნაგებობათა ხარისხი, მათი დაგეგმარება და გაფორმება.

3. არსებული სპორტული ბაზების რეკონსტრუქცია და კეთილმოწყობა.

4. მშენებლობაში მოსწავლეთა ძირითადი მასის მონაწილეობა, საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და დაწესებულებების კონკრეტული დახმარება.

5. სპორტულ ნაგებობათა ტიპების, სპორტული აღჭურვილობის, ტექნიკური საშუალებების სრულყოფა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ერთდროულ გამტარიანობის გადიდებას და აგრეთვე ფიზიკური კულტურის გაკვეთილების სიმკვრივისა და ეფექტურობის ამაღლებას.

## შედეგების დაჯამება

სასკოლო სპორტული ბაზების მშენებლობის დათვალიერება კონკურსის შედეგების შესაჯამებლად, რაიონული, საქალაქო და საოლქო განათლების განყოფილებები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები, შესაბამის კომკავშირისა და ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებთან ერთად, ქმნიან საკონკურსო კომისიებს.

ადგილებიდან მიღებული მასალების საფუძველზე საკონკურსო კომისიები სპორტულ ნაგებობათა მშენებლობის შედეგების მიხედვით განსაზღვრავენ საუკეთესო სკოლას ცალკე საქალაქო დაწყებით, რვაწლიან და საშუალო, ცალკე სოფლის დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებისათვის და 1970 წლის 1 ოქტომბრისათვის ინფორმაციას გაშენებული ნაგებობების გეგმა-ნახაზებისა და ფოტო-სურათების დართვით, უგზავნიან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს (თანდართული ფორმის სახით).

შემდეგი მისამართით (თბილისი 18, საქართველოს სსრ გა-

ნათლების სამინისტრო, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დ ა ჯ ი ლ დ ო ე ბ ა

საუკეთესო სკოლების ფიზკულტურის კოლექტივები, კომკავშირის კომიტეტები და პიონერული რაზმეულების საბჭოები, რომლებიც მაღალ მაჩვენებლებს მოიპოვებენ დათვალიერება-კონკურსის პირობების მიხედვით, დაჯილდოვდებიან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის საპატიო სიგელებითა და პრემიებით (სპორტული ინვენტარის კომპლექტი).

მოსწავლეები, მასწავლებლები, დირექტორები და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სხვა მუშაკები, აგრეთვე საზოგადოებრივი აქტივისტები, რომლებიც დათვალიერება-კონკურსში თავს გამოიჩენენ, დაჯილდოვდებიან სამახსოვრო საჩუქრებით.

წახალისებისა და დადებითი გამოცდილების განზოგადოების მიზნით, სპორტული კომპლექსების დაგეგმვის, განლაგებისა და გაფორმების საუკეთესო ნიმუშები გამოქვეყნდება ჟურნალებში. „სკოლა და ცხოვრება", „ფიზკულტურა სკოლაში" და გაზეთებში „სახალხო განათლება" და „ლელო".

## სასკოლო სპორტული ბაზების მშენებლობის დათვალიერება-კონკურსის შემაჯამებელი რესპუბლიკური კომისიის შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა

1. ქოჩაკიძე მ. ნ.—საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე (თავმჯდომარე).

2. ლაღიძე ნ. ი.—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

3. ბალავაძე ვ. მ.—საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

4. ბაცელაშვილი ი. ბ.—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განყოფილების უფროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ლოკვაძე ა. ვ.—საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის განყოფილების გამგე.

6. ნინუა ჯ.—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სასკოლო განყოფილების გამგე.

7. ანჯაფარიძე მ. ა.—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსი.

8. მერკვილაძე გ. ნ.—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდური კაბინეტის გამგე.

9. შავლაყაძე რ. მ.—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის დირექტორი.

**საკუთარი ძალებით სასკოლო სპორტული ბაზების მშენებლობის რესპუბლიკური დათვალიერების დებულების დანართი**

**ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სპორტული ბაზების მშენებლობის რესპუბლიკურ დათვალიერება-კონკურსში მონაწილეობის შედეგების შესახებ ინფორმაციის**

## ს ქ ე მ ა

### I — საერთო მონაცემები

ასსრ, ოლქი ______________________________

ქალაქი, რაიონი ______________ მოსწავლეთა რაოდენობა ________

### II. სპორტული ბაზების კეთილმოწყობისა და განმტკიცების საქმეში ჩატარებული მუშაობის მოკლე შინაარსი

ამ დანაყოფში ჩამოითვალოს ყველა აგებული სპორტული აღჭურვილობა, სადაც მოცემული უნდა იყოს მათი გაფორმების მოკლე დახასიათება, დაგეგმარება და ხარისხი. მოკლედ იწერება არსებული სპორტული აღჭურვილობის კეთილმოწყობა, აგრეთვე სპორტული მოედნების მოვლის დადგენილი წესები. მოცემული უნდა იქნეს ცნობა, მშენებლობაში მოსწავლეების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, წარმოებებისა და დაწესებულებების დახმარების შესახებ.

მოცემული უნდა იქნეს სპორტული აღჭურვილობის სრულყოფილი ტიპები, ტექნიკური საშუალებები, რომლებიც საშუალებას იძლევიან გამტარუნარიანობის ამაღლებისა და აგრეთვე ფიზიკური კულტურის გაკვეთილის ეფექტურობისა და სიმკვრივის ამაღლებისათვის, აქვე ნაჩვენები უნდა იქნეს იმ პირთა გვარები, რომლებმაც წარმატებით გამოავლინეს თავიანთი თავი სასკოლო სპორტული ბაზების განმტკიცების საქმეში.

საუკეთესო ფიზკულტურის კოლექტივების დასაჯილდოებლად აუცილებლად უნდა წარმოდგენილი იქნას დაწვრილებითი ცნობები, რომლებიც მოცემულია დებულების დაჯილდოების დანაყოფში. აქვე ნაჩვენები უნდა იქნეს სკოლის ზუსტი დასახელება და სკოლის მოსწავლეთა საერთო რაოდენობა. განმარტებით ბარათზე დართული უნდა იქნას აშენებული სპორტნაგებობათა გეგმა და ფოტოსურათი.

კომისიის თავმჯდომარე ______________________
(ხელის მოწერა)

„_____“ ____________________ 1970 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

1. ბრძანება № 400—ნორჩ მხაზველთა მეშვიდე რესპუბლიკური კონკურსის შედეგებისა და მერვე კონკურსის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ . 3

2. დადგენილება—რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონისა და ქალაქის სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობის შესახებ . . . . . . . . . . 27

3. ბრძანება № 408/85—რესპუბლიკის ზოგიერთ საშუალო სკოლაში სამხედრო-ტექნიკური მომზადების შემოღების შესახებ . . . . 32

4. ბრძანება № 409/86—ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების სამხედრო ხელმძღვანელებისათვის სამხედრო ფორმის ტანსაცმლის ტარების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 34

5. ბრძანება № 417—აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქსა, დუშეთისა და წალკის რაიონებში სასკოლო ინტერნატების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . 36

6. მითითებანი—საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ . . . . . . . . . . . . . 43

7. ბრძანება № 448—მუშა და სოფლის ახალგაზრდობის მუშაობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ზომების თაობაზე ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესრულების შემოწმების შედეგების შესახებ 49

8. ბრძანება № 447—მომუშავე ახალგაზრდობის საღამოსა და დაუსწრებელი ზოგადი განათლების გაუმჯობესების ზომების შესახებ . . 55

9. დებულება — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში დასაქმებული ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონის ასამაღლებლად ჩატარებული მუშაობის საზოგადოებრივი დათვალიერებისა . . . 57

10. ბრძანება № 451—სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების 1969—1970 სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ . . . . . . . . . . . . 64

11. ბრძანება № 450—1969 წლის ზაფხულის პერიოდში მუშებისა და მოსამსახურეების ბავშვთა დასვენების ორგანიზაციის შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წლის 20 ივნისის № 357 ბრძანების შესრულების შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . 68

12. მითითებანი—წერა-კითხვის უცოდინარი და მცირემცოდნე მოზრდილი მოსახლეობის სწავლების შესახებ . . . . . . . . . . . . 71

13. მითითებანი—წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდობის სწავლების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 75

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. ბრძანება № 466—1969—1970 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და ს[illegible] ბავშვთა დაწესებულებების მზადების მიმდინარეობის შესახებ . . . 82

15. ბრძანება № 469—მცხეთის, გორის, ტყიბულისა და გარდაბნის რაიონების ზოგიერთ სკოლაში ბიოლოგიის სწავლების შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . 87

16 ბრძანება № 498—1969 წლის ზამთრის პერიოდში რესპუბლიკის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებათა მუშაობის შედეგებისა და შემდგომში, ზამთრის პერიოდისათვის ამ ობიექტების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ . . . . . . . . . . 94

17. ბრძანება № 499/122—რესპუბლიკის ზოგიერთი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის IX—X კლასებში 1970 წლის 1 სექტემბრიდან დაწყებითი სამხედრო მომზადების შემოღების შესახებ . . . . . . 97

18. ბრძანება № 500—რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და რვაწლიანი სკოლების V კლასებში სამოქალაქო თავდაცვის საგნის სწავლების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 99

19. ცირკულარული წერილი № 327—პენსიების დანიშვნის ახალი წესის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 101

20. დადგენილება—სასკოლო სპორტული ბაზების მშენებლობის რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსის ჩატარების შესახებ . . . . . . . . . 105